MES 4 21 0000348218

12/04/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 26-27 მარტი, 2021
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ (26.03.2021)
სხდომის დასრულების დრო: 00:10 სთ (27.03.2021)
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი I, II, III საკითხები
სხდომის თავმჯდომარე: ნინო იმნაძე IV, V, VI საკითხები
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია I, II, III საკითხები
სხდომის მდივანი: მაკა კაჭარავა IV, V, VI საკითხები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **გაიანე სიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
5. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. **ანზორ ბერიძე -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
7. **გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
8. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
9. **ნიკა თიკანაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშრისო ურთიერთობების ხელმძღანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;

10. **გიორგი ღაღანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11. **დავით კაპანაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
12. **დიანა მჭედლიშვილი -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
13. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
14. **თამარ ჩხეიძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
15. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
16. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1.	ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

2.	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3.	თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4.	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
5.	ქეთევან თელია	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
6.	თამთა მოხევიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	ვაჟა ვარდიძე	შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორი	I
2.	დიმიტრი გეგენავა	შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი	ვიცე-რექტორი	I
3.	ნინო ქათამაძე	შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი	I
4.	სოფიკო მეტრეველი	შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	I
5.	ნინო წიქვაძე	შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის მართვის სამსახურის სპეციალისტი	I
6.	ირაკლი კორძაია	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მ.შ.	II
7.	თეა ქოიავა	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასისტენტ პროფესორი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
8.	მაია ვანიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	II
9.	კახაბერ კორძაია		რექტორი	III

		შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი		
10.	მარინა გედევანიშვილი	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
11.	ლევან მოსახლიშვილი	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	"სამართლის" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	III
12.	ირმა გრძელიძე	სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის სამსახურის უფროსი	IV, V
13.	რამაზ ხომერიკი	სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	IV, V
14.	მანანა ხაჩიძე	სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საგანმანათლებლო პროგრამის ,,ინფორმაციული ტექნოლოგიები“ ხელმძღვანელი	IV, V
15.	გიორგი სირბილაძე	სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საგანმანათლებლო პროგრამის ,,ინფორმაციული სისტემები“ ხელმძღვანელი	IV, V
16.	ბიძინა მიდოდაშვილი	სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საგანმანათლებლო პროგრამის ,,ინფორმაციული სისტემები“ ხელმძღვანელი	IV, V
17.	თამარ ჭელიძე	სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV, V
18.	თეონა ხუფენია	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორი	VI
19.	ბელა მოსია	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	VI
20.	ასმათ შონია	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	VI
21.	ქეთევან ლატარია		საზოგადოებრივ მეცნიერებათა და	VI

		სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი	

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1.	იაგო კაჭკაჭიშვილი	(ჩაერთო ,,ზუმით'')	I
2.	რევაზ კორაშვილი	(ჩაერთო ,,ზუმით'')	II
3.	ნინო მესხიშვილი	(ჩაერთო ,,ზუმით'')	III
4.	ნინო ბოგვერაძე	(ჩაერთო ,,ზუმით'')	III
5.	ნონა ზუბიტაშვილი	(ჩაერთო ,,ზუმით'')	III
6.	ქეთევან ჩეკურიშვილი	(ჩაერთო ,,ზუმით'')	III
7.	ნანი არაბული	(ჩაერთო ,,ზუმით'')	IV, V
8.	გულადი ფარტენაძე	(ჩაერთო ,,ზუმით'')	IV
9.	ნინო სიხარულიძე	(ჩაერთო ,,ზუმით'')	IV
10.	მაქსიმ იავიჩი	(ჩაერთო ,,ზუმით'')	V
11.	თამარ ხატისაშვილი	(ჩაერთო ,,ზუმით'')	V
12.	მიხეილ გიორგაძე	(ჩაერთო ,,ზუმით'')	VI

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს - სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბუნებრივ ნაერთთა ანალიზის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოს მიერ უკან მობრუნებული)
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ინფორმაციული სისტემების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ,, ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს - სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბუნებრივ ნაერთთა ანალიზის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოს მიერ უკან მობრუნებული)
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ინფორმაციული სისტემების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ,, ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

ცენტრის წარმომადგენელმა, ქრისტინე აბულაძემ დააყენა შუამდგომლობა 30 მარტის აკრედიტაციის საბჭოს დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით, ოფიციალური მომართვის საფუძველზე სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა ითხოვა 30 მარტს განსახილველი ანგარიშის შემდგომ სხდომაზე გადატანა, რადგან საბჭოს თარიღი ემთხვეოდა დაწესებულების ერთ-ერთი პროგრამის აკრედიტაციის ვიზიტს.
აკრედიტაციის საბჭოს მიერ შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნა.

1. პირველი საკითხი: შპს - სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	29.05.2020 გადაწყვეტილება № 423428
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-

6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	სოციოლოგიის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0186, თბილისი, კ. ქუთათელაძის ქ. №3
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა ეკატერინე ნაცვლიშვილმა,

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ გააკეთა მოკლე რეზიუმე და აღნიშნა, რომ პროგრამის მისანიჭებელი კვაიფიკაცია იყო სოციოლოგიის ბაკალავრი, იგი აკრედიტირებული იყო 2020 წელს, ხოლო იაგო კაჭკაჭიშვილი წარმოადგენდა ექსპერტს, რომელმაც შეისწავლა წარმოდგენილი ანგარიში. საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მას გაეკეთებინა მოხსენება ანგარიშთან დაკავშირებით.
ექსპერტი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას. მან მიუთითა განსახილველი პროგრამა შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა სოციოლოგიაში. ხუთი რეკომენდაცია წარედგინა უნივერსიტეტსა და საბაკალავრო პროგრამის მესვეურებს, ექსპერტებმა მიიღეს ანგარიში, თუ რამდენად იქნა რეკომენდაციები გათვალისწინებული. რჩევები გაცემული არ ყოფილა. ექსპერტმა გააცნო საბჭოს წევრებს რეკომენდაციები:

- საბაკალავრო ნაშრომების მომზადებას კურირებს პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რომლის კვალიფიკაცია სოციოლოგიაშ ამოიწურება სოციოლოგიის ბაკალავრის ხარისხით. მიზანშეწონილია, რომ საბაკალავრო ნაშრომების მენეჯმენტში აქტიურად ჩაერთოს პროგრამის მეორე ხელმძღვანელი, რომელსაც გააჩნია დოქტორის ხარისხი სოციოლოგიაში.

ექსპერტის მითითებით პროგრამას ჰყავდა ორი ხელმძღვანელი, ერთი სოციოლოგიის დოქტორი, ხოლო მეორეს კვალიფიკაცია სოციოლოგიაში ამოიწურებოდა მხოლოდ სოციოლოგიის ბაკალავრის ხარისხით, თუმცა იგი სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი იყო. მაგრამ მას სოციოლოგიაში დასრულებული ხარისხი არ ჰქონია ბაკალავრის ხარისხის გარდა. რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნა, საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში ავტორად მიეთითა პროგრამის ხელმძღვანელი დოქტორი კატარჟინა ლენარდგლოში, ასევე სოციოლოგიის დოქტორი შორენა კოპტავა. აღნიშნული მიუთითებს, რომ საბაკალავრო ნაშრომების მენეჯმენტში გათვალისწინებულია მაღალი კვალიფიკაციის პირების მონაწილეობა. ამოღებულია სოციოლოგიაში ბაკალავრის ხარისხის მქონე აკადემიური პირი, რომელიც ჩართულია საბაკალავრო პროგრამის მენეჯმენტში.

- სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ორი ხელმძღვანელის კვალიფიკაციის, სოციოლოგიის დარგში, არსებითი განსხვავებიდან გამომდინარე, აუცილებელია მათ შორის განხორციელდეს კომპეტენციათა მკვეთრი გამიჯვნა. კერძოდ, პროგრამის შინაარსობრივ მხარეზე პასუხისმგებლობა აიღოს დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელმა - ეს გულისხმობს პროგრამის შემადგენელი კურსების სილაბუსების რევიზიას, პედაგოგთა მოწვევას და ასე შემდეგ. აც შეეხება მეორე ხელმძღვანელს, ის ძირითადად დაკავდეს პროგრამის მენეჯმენტთან დაკავშირებული საკითხებით. აქედან გამომდინარე, პროგრამას უნდა ჰყავდეს არა თანაბარი უფლებამოსილების მატარებელი ორი ხელმძღვანელი, არამედ ერთი ძირითადი ხელმძღვანელი და ერთი თანახელმძღვანელი, რომელიც ასისტირებას გაუწევს ძირითად ხელმძღვანელს.

ექსპერტის თქმით, ზემოაღნიშნული რეკომენდაციაც გათვალისწინებულია. სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკადემიურ ხელმძღვანელად განისაზღვრა დოქტორი კატარჟინა, პოლონელი მეცნიერი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტთან. ხოლო თანახელმძღვანელად დაინიშნა საბაუნის ასისტენტი სოფიკო მეტრეველი, რომელიც ასისტირებას გაუწევს ძირითად ხელმძღვანელს.

- დაზუსტდეს და დაკონკრეტდეს მიმართულებები და გაღრმავდეს კურსები, რომლებიც ზედა კურსის საგნებში ისწავლება. შეეხებოდა კურსების სილაბუსების დაზუსტებასა და გაღრმავებას. რაც ეხება შემდეგ კურსებს, კლასიკური სოციოლოგიური თეორიები და თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები 1; თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები 2 და პოსტმოდრნული სოციოლოგიური თეორიები; სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდები და თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები.

ექსპერტის განმარტებით, პრობლემა იყო რომ კურსებს ჰქონდა ურთიერთ გადაფარვები. არ ყოფილა კომპეტენციები შესაბამისად გამიჯნული, კერძოდ, ზოგიერთი კურსი, რომელიც თანამედროვე სოციოლოგიურ თეორიებში იყო მოთავსებული თავისი შინაარსით ეკუთვნოდა კლასიკურ სოციოლოგიურ თეორიებს. გადაფარვა იყო თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები 2-სა და პოსტ-მოდრნულ სოციოლოგიურ თეორიებს შორის. არეული იყო თემატიკა და სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდების კურსი ერთი მხრივ და მეორე მხრივ, თვისებრივი სოციალური კვლევის მეთოდების კურსი ფარავდა ერთმანეთს, იმ ფარგლებს მიღმა, რა ფარგლებშიც გადაფარვა დასაშვებია. აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწიებული იქნა, კერძოდ, კლასიკური სოციოლოგიური თეორიების სილაბუსი დარჩა უცვლელი, ხოლო თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები 1-ის სილაბუსში მოხდა მესამე, მე-11 და მე-12 სალექციო კვირების თემატიკის ცვლილება. ასევე, თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები 2-ის სილაბუსში შეიცვალა მეხუთე და მეექვსე სალექციო კვირების მასალა, ხოლო

პოსტ-მოდერნული სოციოლოგიური თეორიების სილაბუსი დარჩა უცვლელი და თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდების სილაბუსი დარჩა უცვლელი. ხოლო სოციალური კვლევის მეთოდების სილაბუსში შეიცვალა ფოკუსი და კურსში აქცენტი გაკეთდა სოციალური მეცნიერებების მეთოდოლოგიურ მიდგომებზე. სწორედ ასეთი იყო კომისიის კონკრეტული რეკომენდაცია.

- განსაკუთრებუოლი ყურაღება უნდა მიექცეს კურსს სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდები, რომელიც პრაქტიკულად იმეორებს თვისებრივი სოციალური კვლევის მთოდების სილაბუსს. სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდები ან საერთოდ უნდა იქნ ეს ამოღებული პრგრამიდან ან შეიცვალოს მისი ფოკუსი და კურსის აქცენტი დაისვას სოციალური მეცნიიერებების მეთოდოლოგიურ მიდგომებზე, რომლებიც საფუძვლად უდევს სოციალური კვლევის კონკრეტულ მეთდებს.

ექსპერტის თქმით, მოცემული რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნა. კერძოდ, სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდების სილაბუსში შეიცვალა ფოკუსი და კურსში აქცენტი გაკეთდა სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდოლოგიურ მიდგომებზე. კვირების მიხედვით შეიცვალა სალექციო თემები, დეტალურად გაიწერა თემატიკა, დაემატა ძირითადი ლიტერატურა.

- აუცილებელია, რომ სოციოლოგიის შესავლის და რელიგიის სოციოლოგიის კურსების სილაბუსები გამდიდრდეს ქართულ ენაზე თარგმნილი და გამოცემული ლიტერატურით.

ექსპერტის თქმით, ამ ორი კურსის ფარგლებში ქართულ ენაზე თარგმნილი კარგი ლიტერატურა გვაქვს. ეს რეკომენდაციაც გაითვალისწინა უნივერსიტეტმა, სოციოლოგიის შესავლის კურსს ძირითად ლიტერატურად დაემატა ქართულ ენაზე თარგმნილი სოციოლოგიის სახელმძღვანელო, ხოლო რელიგიის სოციოლოგიის კურსს დაემატა რელიგიური ცხოვრების ელემენტარული ფორმებიდან ნარკვევები რელიგიის სოციოლოგიის შესახებ. ორივე ნაშრომი ქართულ ენაზეა გამოცემული და ჩართულია სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში. ექსპერტის განმარტებით, ხუთივე რეკომენდაცია სრულად გაითვალისწინა უნივერსიტეტმა, წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც მოიცავს სილაბუსებს, სასწავლო პროგრამის აღწერას და ასე შემდეგ. ყველა შესაბამისი მტკიცებულება წარმოდგენილია, რაც საფუძველს იძლევა დასკვნისა, რომ სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამამ ყველა ის ხარვეზი, რაც კომისიამ პროგრამაში გამოაჩინა, გამოასწორა და წარმოადგინა სრულყოფილად.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს და დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა განმარტების გასაკეთებლად.
დიმიტრი გეგენავა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, თავი წარადგინა და აღნიშნა, რომ იგი სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის პრო-რექტორის თანამდებობას იკავებდა. ვინაიდან ხუთივე რეკომენდაცია გათვალისწინებულად მიიჩნია ექსპერტმა, დიმიტრი გეგენავამ მადლობა გადაუხადა მას, არა მხოლოდ აღნიშნული შეფასებისათვის, არამედ მთელ მის სამუშაო გუნდს, ექსპერტებს, რომლებიც თავდაპირველი შეფასების დროს იმყოფებოდნენ უნივერსიტეტში. მან აკრედიტაციის პროცესი მიიჩნია პროცესად, რომელიც დაეხმარა პროგრამას განვითარებაში. შეასრულა ის მიზნები, რომლებიც აკრედიტაციას აქვს და უნდა ჰქონდეს. რეკომენდაციების შესრულების პროცესში გამოჩნდა, რომ მართლაც სკულპულოზურად მიუდგა უნივერსიტეტი და პროგრამა ამ საკითხებს. რეკომენდაციები

მართლაც ღირებული და პროგრამის განვითარებისათვის ორიენტირებული იყო. დიმიტრი გეგენავამ მადლობა გადაუხადა ექსპერტს და საბჭოს წევრებს.
ექპსერტმა დაამატა, რომ კომისიას უნივერსიტეტში დახვდა ნამდვილად სამუშაო ვითარება. კომისიის გამოთქმულ ყველა შენიშვნას უნივერსიტეტი მიუდგა გულისყურით, რაც გამოჩნდა მათ მიერ წარმოდგენილ ანგარიშშიც. უნივერსიტეტმა იმუშავა ყველა შენიშვნაზე და წარმოადგინა რეკომენდაციების გათვალისწინება. მან საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმატებები უსურვა და მადლობა გადაუხადა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა წარმოედგინათ შეკითხვები.

საბჭოს წევრი, თეონა მატარაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მან პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ფორმალურზე მეტად შინაარსობრივი სახის კომენტარი გააკეთა. მან აქცენტი საბაკალავრო ნაშრომების დაცვაზე გააკეთა, რადგან აღნიშნული იყო რომ პროგრამა განიცდიდა დოქტორის ხარისხის პედაგოგების მწვავე ნაკლებობას. ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ საბაკალავრო ნაშრომები დაიწერება ქართულ ენაზე, პროგრამის ხელმძღვანელს გაუჭირდება ტექსტური ნაწილის გათვალისწინება. რამდენად ჰყოფნის რესურსი პროგრამას, რომ საბაკალავრო ნაშრომების რეცენზირება, ხელმძღვანელობა პროგრამაში ჩართულმა აკადემიურმა პერსონალმა უზრუნველყოს. რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ შემოწმდა ხელმძღვანელის კომპეტენცია. როდესაც საუბარია პოლონელ პროფესორზე, სავარაუდოდ მას გარდა ხარისხისა უნდა ჰქონდეს სამეცნიერო ნაშრომები და კვლევები დარგშ,. რაც საბჭოს წევრმა ვერ მოიძია და მას აინტერესებდა ამ კუთხით თუ მოხდა შემოწმება. რჩევის სახით, აკადემიურ პერსონალში არ არის პროგრამის ხელმძღვანელი და სასურველია აისახოს ვებ-გვერდზე და ჩანდეს სივები, ისევე როგორც ჩანდეს პროგრამაში ვინ რომელ საგანს კითხულობს. რადგან პროგრამაში ჩანს მხოლოდ საგნები და არა განმახორციელებელი პირები. მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით ზოგადი რჩევის სახით, სასურველია ისწავლებოდეს ჯერ დიზაინი და შემდეგ ინსტრუმენტი, რომელიც დიზაინით უნდა განისაზღვროს რა იქნება. ასევე, საბჭოს წევრს არ ჰგონია, რომ საწყის ეტაპზე დისკონსის ანალიზის მიწოდება ღირდეს. ეს საკმაოდ რთული მეთოდია, როდესაც სრულყოფილად ისწავლება. რჩევის, რომელიც საკმაოდ მძიმედ ჟღერდა „პროგრამა განიცდის მწვავე დეფიციტს“, სადაც აღნიშნული იყო, რომ ბაკალავრის ხარისხით ხდება სწავლება, გათვალისწინებით რამდენად მდგრადია პროგრამა, რადგან რჩევაში აღნიშნული სიტუაცია კვლავ პრობლემად რჩება.

,,პროგრამა განიცდის დოქტორების მწვავე ნაკლებობას“ - ექსპერტის თქმით, ეს შენიშვნა მეტნაკლებად თანაბრად წაეყენება სოციოლოგიის ყველა პროგრამას ყველა უნივერსიტეტში და ზოგადად, საქართველოში განვიცდით სოციოლოგიაში დოქტორების მწვავე ნაკლებობას. სამწუხაროა, რომ ეს პრობლემა დგას, საჭიროა მეტი დოქტორის შემოყვანა. პროგრამას უდგას ეს პრობლემა, თუმცა რამდენიმე დოქტორი ემსახურება ამ პროგრამას, ექსპერტმა რამდენიმე დოქტორის სახელი და გვარიც მიუთითა. კომისიამ პროგრამის პროფესორებს შეხედა პერსპექტივის გათვალისწინებით. სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამას დაახლოებით 70% შეადგენენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები. მისი თქმით, მართალია, დოქტორების ნაკლებობა არის, მაგრამ არსებობს პოტენციალი იმისა, რომ დოქტორების რაოდენობა გაიზარდოს. რჩევა სწორედ იმიტომ ჩაიწერა პროგრამაში, რომ ეს საკითხი ექსპერტებს აწუხებდათ, რაც გაიზიარა უნივერსიტეტმაც. რაც შეეხება ხელმძღვანელს, ქალბატონ კატარჟინას, ექსპერტის მითითებით, მასთან გასაუბრება შედგა. დაისვა ზუსტად ის საკითხი, რაც საბჭოს წევრმა დასვა. უნივერსიტეტმა აიღო პასუხისმგებლობა, რომ გაფართოებული რეზიუმე ითარგმნება ინგისურ ენაზე, რომ იგი გაეცნოს საბაკალავრო ნაშრომის ძირითად თავისებურებებს. აღნიშნული დათქმა არსებობს უნივერსიტეტსა და პროგრამის ხელმძღვანელს

შორის, რაც ნათლად ითქვა პროგრამის მესვეურებისა და პროგრამის ხელმძღვანელისაგან. რაც შეეხება მეორე ხელმძღვანელს, ექსპერტებმა მიუთითეს, რომ არ შეიძლება პროგრამას ხელმძღვანელობდეს სოციოლოგიაში ბაკალავრის ხარისხის მქონე პიროვნება. ეს ხარვეზი გაასწორა უნივერსიტეტმა, ეს ადამიანი ამოიღო საბაკალავრო ნაშრომებზე შინაარსობრივად პასუხისმგებელ პირთა სიიდან და დაამატა დოქტორი. რეცენზირება არ არის აუცილებელი მოხდეს უნივერსიტეტის შიდა რესურსებით, შესაძლებელია მოხდეს გარე რესურსებით. უნივერსიტეტი ადასტურებს თანამშრომლობას, მათ შორის, ჯავახიშვილის უნივერსიტეტის სოციოლოგიის დეპარტამენტთან. ეს დეპარტამენტი შეიძლება ჩაერთოს საბაკალავრო ნაშრომების რეცენზირების პროცესში. ამ პროგრამას არ ჰყავს დიდი ჯგუფები, ჯგუფები არ სცილდება 15 ადამიანს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ქალბატონი კატარჟინა, ნამდვილად იყო დოქტორი სოციოლოგიაში, სპეციალიზაციით გენდერის სოციოლოგია. ამ პროგრამას აქვს კონცენტრაცია გენდერის სოციოლოგიის მიმართულებით, რაც გამოარჩევს პროგრამას. სტუდენტი თუ მოისურვებს, შეუძლია აიღოს ისეთი კურსები, რომ თავად ააშენოს გენდერის სოციოლოგიაში თავისი პროფესია. ქალბატონ კატარჟინას აქვს შესაბამისი ნაშრომებიც, ის ნამდვილად კვალიფიციური სოციოლოგია.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა ქალბატონ კატარჟნას ავტობიოგრაფიის საკითხთან დაკავშრებით, რომელიც საბჭოს წევრის მითითებით წარმოდგენილ დოკუმენტთა სიაში არ მოიძებნებოდა. დიმიტრი გეგენავას თქმით, ეს არ არის კლასიკური აკრედიტაციის პროცესი, არამედ მხოლოდ რა ნაწილშიც რეკომენდაციები იყო დადგენილი იმ ნაწილის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარედგინება დაწესებულების მხრიდან. თუ კითხვა იქნებოდა მთლიან აკადემიურ ჯგუფზე დასმული, რა თქმა უნდა, წარმოდგენილი იქნებოდა cv. მისი თქმით, ვებ-გვერდზე არის ქალბატონი კატარჟინას შესახებ ინფორმაცია, მას საერთაშორისო კვლევაც აქვს, რადგან მაქსპლანკის სოციოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელიც იყო, აქვს ნაშრომები როგორც გერმანულად, ისე ინგლისურად. პროგრამის ხელმძღვანელი არის ქალბატონი კატარჟინა, ხოლო სოფიკო მეტრეველი მისი აკადემიური ასისტენტი. სტუდენტების მიღება ყოველწლიურად გათვლილია ათ მაქსიმუმ თხუთმეტ ადამიანზე. დიმიტრი გეგენავას თქმით, უნივერსიტეტის მიზანი არაა მიიღოს დიდი ჯგუფები, ეს არ არის მარკეტინგული გათვლა, ეს უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარეობს. პროგრამაში კიდევ სოციოლოგიის 4 დოქტორი და 7 დოქტორანტია ჩართული, გათვლაა იმაზე, რომ მათი უმრავლესობა უახლოეს ორ-სამ წელიწადში იცავს ნაშრომს. სტუდენტების პირველი მიღება, დაახლოებით ათი ადამიანი, შესაბამისად რესურსები სრულიად საკმარისი იქნება. რეცენზირება ისედაც გარე რესურსებით მოხდება, რადგან უნივერსიტეტის ღირსება ისაა, რომ რაც შეიძლება მეტი პირი მოიწვიოს გარედან. მიზანია, რომ ყველა საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც სტანდარტს დააკმაყოფილებს, გამოიცეს ქართულ და ინგლისურ ენაზე. ეს დამატებითი სტიმულიც იქნება ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებისთვის და მითუმეტეს, ქართული სინამდვილის შესახებ მეტს გაიგებენ საზღვარგარეთ. რაც შეეხება სოციოლოგიის უცხოელ დოქტორებს, ამ მიმართულებით, დიმიტრი გეგენავას თქმით, იმდენი იქნება უნივერსიტეტში, რამდენსაც საჭიროება მოითხოვს. ამაზე წინასწარი თანხმობა არსებობს ლუმინის კათოლიკური უნივერსიტეტიდან, რუჟომდეროკის უნივერსიტეტიდან.

ექსპერტმა გაიხსენა თინათინ გვენეტაძეც, რომელიც კითხულობს მეთოდების კურსს საბაკალავრო პროგრამაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო რატი შუბლაძე მეთოდების კურსს მაგისტრანტებთან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. არცერთი არ არის დოქტორი, თუმცა რატი შუბლაძე რამდენიმე კვირაში დაიცავს ნაშრომს. ასე რომ ნამდვილად პროფესიული გუნდი ემსახურება პროგრამის განხორციელებას. კომისიას არ გაუშვია არც ერთი შეცდომა რაც კი პროგრამას ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს მადლობა გადაუხადა, დაემშვიდობა მას და სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება სათათბირო შესვენებაზე საბჭოს წევრების მსჯელობის შედეგად წარმოიშვა რამდენიმე შეკითხვა, რომელიც დაზუსტებას ითხოვდა დაწესებულების წარმომადგენლის მხრიდან.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სათათბირო შესვენება დროებით შეჩერდა 15:52 საათზე და სხდომას შემოუერთდა ინსტიტუციის წარმომადგენელი. საბჭოს თავმჯდომარემ დასვა დამაზუსტებელი შეკითხვები. განხილვის პროცესში ითქვა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი არის ორი ადამიანი. ამ წინადადებას დიმიტრი გეგენავა არ დაეთანხმა, მან დააზუსტა რომ ექპსერტების რეკომენდაციის საფუძველზე პროგრამის ხელმძღვანელი არის ერთი ადამიანი - კატარჟინა ლენარდკროში, ხოლო მისი ასისტენტი ადმინისტრირების მიმართულებით არის სოციოლოგიის დოქტორანტი სოფიკო მეტრეველი, იმ მიმართულებით, რომ ქართულ ენაზე კომუნიკაციის პრობლემა არ შეიქმნას. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტები ითხოვდნენ ძირითადი ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი დაფიქსირებულიყო, დაწესებულებამ გააკეთა რეალობის სრული ასახვა, ხელმძღვანელი ვინც იყო, ვინც შექმნა პროგრამა ის მიეთითა ხელმძღვანელად, ხოლო რათა ნათელი ყოფილიყო დოქტორანტი არის მისი ასისტენტი, თუმცა კანონმდებლობით არსად არ იკრძალება, რომ დოქტორანტი იყოს პროგრამის ხელმძღვანელი, მთავარია მისანიჭებელი კვალიფიკაცია ჰქონდეს. თუმცა უნივერფსიტეტმა ეს მაინც არ გააკეთა, რადგან მსგავს გამონაკლისებს არ უშვებს აკადემიური პერსონალის კუთხით. საბჭოს წევრმა კვლავ დასვა კითხვა, პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციების დაზუსტებასთან დაკავშირებით. დიმიტრი გეგენავამ განმარტა, რომ ავტორიზაცია გასულ კვირას გაიარა უნივერსიტეტმა და იგი სასწავლო უნივერსიტეტი აღარ არის. სამუშაო აღწერილობაში ნათლადაა მითითებული, თუ რას აკეთებს ხელმძღვანელი. ადმინისტრირების ნაწილი არის ფაკულტეტის ნაწილი. შინაარსობრივი ლიდერი, პროგრამის წარმმართველი შინაარსობრივი კუთხით არის პროგრამის ხელმძღვანელი. იგი მონაწილეობს პროფესორების შერჩევაში, საგნების ჩამატებაში, შრომის ბაზრის ანალიზის დამუშავებაში. იგი არ მონაწილეობს ადმინისტრირებაში, რაც არის უნივერსიტეტის მენეჯმენტის მხარე. საბჭოს წევრმა კიდევ ერთი დამაზუსტებელი კითხვა დასვა, მისი თქმით ერთია პროგრამის შინაარსობრივი, კონტექსტუალური განვითარება, მუდმივი ხარისხით უზრუნველყოფა, თუმცა გარდა ამისა საინტერესოა, უშუალოდ საბაკალავრო ნაშრომებთან მიმართებით, როგორ რეგულირდება ეს საკითხი. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, გაუგებრობა გამოიწვია იმ საკითხმა, რომ სილაბუსში ეთითება სილაბუსის ავტორი. უნივერსიტეტს აქვს სპეციალური მოწესრიგება, რომლის მიხედვითაც საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელიც უნდა იყოს დარგში დოქტორის ხარისხის მქონე პროფესორი. შესაბამისად, შეიძლება საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის ველში არავინ არ იყოს მითითებული პროფესორად და ზოგადი წესი იყოს, რომ დოქტორი ხელმძღვანელობს მას, რადგანაც ხაზგასმა იყო დოქტორისა, ამიტომ მოხდა ჩაწერა, თორემ საბაკალარო ნაშრომში ზოგადად განმახორციელებელი და წამკითხველი პროფესორი არ ეთითება ხოლმე. უნივერსიტეტს აქვს რეგულაცია, რომ დარგის სპეციალისტი დოქტორი შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი. სამაგისტროზეც ასეა. მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერფსიტეტს, სამართლის ფაკულტეტზე მაგისტრის ხარისხის მქონე შეიძლება ხემძღვანელობდეს სამაგისტრო ნაშრომს, თუკი დოქტორანტია და კვლევებით დასტურდება. მსგავსი გამონაკლისიც კი არ არის საბაუნიში. უნივერსიტეტს აქვს საშუალება, რომ არ ჰყავდეს 30 ბაკალავრიატის სტუდენტი, შესაბამისად სტუდენტებისთვის ინდივიდუალური ხელმძღვანელობა უზრუნველყოფილია. საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა პროგრამის ხელმძღვანელის განათლებისა და კვალიფიკაციის შესახებ. დიმიტირი გეგენავას თქმით, ქალბატონი კატარჟინა არის სოციოლოგიის დოქტორი, დამთავრებული აქვს ლუუბლინის კათლიკური უნივერსიტეტი, მისი კვლევები ორი ძირითადი მიმართულებითაა, არასრულწლოვნები და მათი დევიაციური ქცევა, მართლმსაჯულებასთან მისი კვეთის ნაწილი, პოლონეთში ორ დისერტაციას იცავენ, ხდება ჰაბილიტაცია. ჰაბილიტაცია აქვს სოციალური მუშაობის სფეროში, არასრულწლოვანთა

კოლონიებში მათ დევიაციურ ქცევაზე. ფაქტობრივად, აქვს სოციოლოგიის დოქტორის ხარისხი და ჰაბილიტაცია სოციალურ მუშაობაში, არის პრაქტიკოსი სოციოლოგი, გარდა იმისა რომ არის მკვლევარი, პროფესორი, დასაქმებულია უშუალოდ სოციოლოგად, სოციალურ მკვლევრად. უნივერსიტეტს მჭიდრო კავშირი აქვს ლუბლინის კათოლიკურ უნივერსიტეტთან, ხდება პროფესორების განაწილება მათ შორის. უნვერსიტეტს საკმაოდ კარგი პრაქტიკა აქვს უცხოელი პროფესოების მონაწილეობის პროგრამებში, მათ შორის თანახელმძღვანელებადაც, ისინი საქართველოში ცხოვრობენ, ჩამოდიან, არა მხოლოდ ინტენსიური კურსებით, მთელი სემესტრითაც. ეს არის ის ექსკლუზივი, რომელსაც სთავაზობს უნივერსიტეტი დამფუძნებლის ფაქტორიდან გამომდინარე, რადგან ამაში ხარჯის გაღება არ ხდება. ერასმუსის მსგავსი პროგრამებია წევრებისათვის და ხდება დაფინანსების მიღება, ამ ფარგლებში მოხდა პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნა. მხოლოდ მიმდინარე სემესტრშივე მოხდა მისი საქართველოში ჩამოსვლა.

სხდომაზეგამოცხადდასათათბიროშესვენება

დაწყების დრო: 16:02
დასრულების დრო: 16:10

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭომ სრულიად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

გადაწყვეტილება
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე შპს - სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

16:15 სთ-ზე საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ.

2. მეორე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბუნებრივ ნაერთთა ანალიზის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბუნებრივ ნაერთთა ანალიზი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	18.09.2020 გადაწყვეტილება № 862025
5		-

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიის დოქტორი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
11	განხორციელების ადგილი	6010, საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32 უნივერსიტეტის I I კორპუსი
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს ანზორ ბერიძემ და გაიოზ ფარცხალაძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის ქიმიის დოქტორი, აკრედიტაციის საბჭოს მიერ 2020 წლის 18 სექტემბერს იქნა მიღებული გადაწყვეტილება ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით, წარმოდგენილი ანგარიში შეისწავლა ექსპერტმა რევაზ კორაშვილმა, საბჭოს თავმჯდმარემ სთხოვა ექსპერტს წარმოადგინა მოსაზრება.
ექსპერტი მიესალმა საბჭოს წევრებს, მისი განმარტებით, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარმოადგინა დოკუმენტაცია რეკომენდაციების შესრულების თაობაზე, შეიცვალა რამდენიმე დოკუმენტი, წარმოდგენილი მასალების განხილვის შედეგად ექსპერტმა დაადასტურა, რომ უმაღლესი სასწავლებელი დაეთანხმა ორივე რეკომენდაციას. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა ჩანაწერს სადოქტორო პროგრამაში, სადაც მითითებული იყო კრედიტების გარკვეული რაოდენობა, მათ შორის, კვლევით კომპონენტში.

კანონმდებლობა შეიცვალა, რამაც გამოიწვია ის, რომ ამოღებული უნდა ყოფილიყო კრედიტების შეფასება. სასწავლო კომპონენტში დარჩა კრედიტების შეფასება, ხოლო კვლევით კომპონენტში უნდა ამოღებულიყო. რეკომენდაცია შემდეგი სახით იყო ჩამოყალიბებული

- მიზანშეწონილია პროგრამის ზოგად კურიკულუმში დადგენილი სტანდარტი და ფაქტობრივი სინამდვილე აისახოს აღწერილობით ნაწილში და შესაბამისობაში მოვიდეს, არ იწვევდეს ბუნდოვანებას.

მეორე რეკომენდაცია ეხებოდა კონკრეტულ სილაბუსებში შეფასების სისტემაში არსებულ ხარვეზებს.

- სასწავლო კურსების სოციალური ფსიქოლოგია დოქტორანტებისთვის აკადემიური წერა და სწავლების თანამედროვე მეთოდების სილაბუსებში გასწორდეს შეფასების სქემაში ხარვეზები.

ჩამოთვლილი იყო ჯამში ექვსი-შვიდი ხარვეზი, რომლებიც ყველა ეხებოდა შეფასების სისტემას. ზოგან ქულები არ იყო ჩაშლილი, ზოგან სხვა ნიუანსი იყო გამოტოვებული. ყველა ხარვეზი შეჯამდა ერთ რეკომენდაციად. საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა ანგარიში და ექსვსი დანართი დოკუმენტი ანგარიშის ცვლილებების დასადასტურებლად. ექსპერტი ყურადღებით გაეცნო ცვლილებებს და დაადასტურა, რომ ორივე რეკომენდაცია სრულად გათვალისწინებულ იქნა. პირველი რეკომენდაციის შემთხვევაში შესრულების მიზნით განხორციელდა შემდეგი ცვილებები: ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 2 ივლისის დადგენილებით სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში ბუნებრივ ნაერთთა ანალიზი ამოღებულ იქნა ყველა ჩანაწერი კვლევით კომპონენტში კრედიტების მინიჭების შესახებ. რაც მტკცდება პირველი და მეორე დანართებით. აკადემიური საბჭოს 2020 წლის 6 აგვისტოს დადგენილებით შეიცვალა დოქტურანტურის დებულება, ამოღებულ იქნა დოქტორანტისთვის კვლევით კომპონენტში მისანიჭებელი კრედიტების შესახებ ჩანაწერი, დოქტირანტურის ჯამური კრედიტების რაოდენობა განისაზღვრა არაუმეტეს 60 კრედიტით სასწავლო კომპონენტში, რასაც შეეხება მტკიცებულება N3. რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, თან ახლავს სამივე სილაბუსი, რომლებშიც სრულად იქნა გათვალისწინებული ხარვეზები და შეცვლილია სამივე სილაბუსი, ჩასწორებულია შეფასების კომპონენტები, რითაც პროგრამა მოვიდა სტანდარტთან სრულად შესაბამისობაში. საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს და სიტყვა დაუთმო ინსტიტუციის წარმომადგენლებს.
კომენტარი გააკეთა მაია ვანიძემ, ქიმიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელმა. 2020 წლის 18 სექტემბერს პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია, წარმოდგენილ ანგარიშში გათვალისწინებულ იქნა საბჭოს რეკომენდაციები. პროგრამაში შეიცვალა კრედიტების მინიჭების სქემა და კვლევით კომპონენტში აღარ ხდება კრედიტების მინიჭება. პროგრამის მთლიანი კრედიტების რაოდენობა განისაზღვრა 60 კრედიტით, რაც მინიჭებული აქვს მხოლოდ სასწავლო კომპონენტს. რეკომენდაციის შესაბამისად, დოქტურანტურის დებულებაში ჩასწორდა მეორე მუხლის მესამე პუნქტი, მეხუთე მუხლის მეორე პუნქტი, მეექვსე მუხლის მეორე პუნქტი, ისე რომ ამოღებული იქნა კვლევით კომპონენტში კრედიტების მინიჭების შესახებ ჩანაწერები. რაც შეეხება სილაბუსებს, აქ განხილულია სამი სილაბუსი დანართის სახით. პირველი სილაბუსია სოციალური ფსიქოლოგია დოქტორანტებისათვის, შეფასების კრიტერიუმები გაწერილია დეტალურად და დაემატა შეფასების შკალა რეკომენდაციების თანახმად. მეორე სილაბუსი - სწავლების თანამედროვე მეთოდები, შეფასების ნაწილში დაემატა შუალედური გამოცდების

კრიტერიუმები, შეფასების შკალა და დასკვნით გამოცდას დაემატა კრიტერიუმების ქულებით შეფასება. მესამე სილაბუსი - აკადემიური წერა, შეფასების სქემით დასკვნით გამოცდაში არ იყო გაწერილი ქულობრივი მახასიათებლები, გაიწერა იგი, შეფასების სქემაში აკლდა ზოგიერთ კომპონენტს ქულებრივი მახასიათებლები, რა დაიწერა და ჩაემატა შუალედურის ნაწილში შეფასების მეთოდები. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის თაობაზე. საბჭოს წევრის მითითებით, დასმული საკითხები, როგორც ინსტიტუციამ, ისეე ქსპერტმა დაადასტურა რომ შეიცვალა. მისი თქმით, ლაბორატორია ერთ-ერთი ყველაზე კარგად აღჭურვილია აპარატურული თვალსაზრისით, რაც ქართულ სინამდვილეში იშვიათია. საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს და დაემშვიდობა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:20
დასრულების დრო: 17:30

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბუნებრივ ნაერთთა ანალიზის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭომ სრულიად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

გადაწყვეტილება
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბუნებრივ ნაერთთა ანალიზის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

18:24 სთ-ზე სხდომას შემოურთდა მაკა კაჭარავა.

3. მესამე საკითხი : შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოს მიერ უკან მობრუნებული);

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	20.11.2012 გადაწყვეტილება N 681
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სამართალი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-

8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ჩარგლის ქუჩა # 73 , ნაძალადევის რაიონი, თბილისი, სასწავლო კორპუსი N 1, 0141 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა ნინო ჭალაგანიძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარის მითითებით, აღნიშნული პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია გახლდათ სამართლის მაგისტრი. 2021 წლის 2 თებერვლის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, აღნიშნულ პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია. დაწესებულებამ გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო საბჭოში. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილებით საკითხი განსახილველად დაუბრუნა აკრედიტაციის საბჭოს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრების სახელით გამოხატა პატივისცემა უნივერსიტეტის წარმომადგენლებისა და ექსპერტთა ჯგუფის მიმართ.
მისი თქმით, გამომდინარე იქედან რომ წარმოდგენილ საბჭოს წევრებს შორის არ იმყოფებოდა სამართლის დარგის სპეციალისტი, რომელსაც ასევე თვითაცილება ექნებოდა პროგრამასთან მიმართებით და ასევე, პროგრამასთან მიმართებით წარმოადგენილი დოკუმენტები მოიცავდა, გულისხმობდა და საჭიროებდა კონტექსტუალურ, შინაარსობრივ განხილვას, უპრიანი იქნებოდა აკრედიტაციის საბჭოს ცენტრისათვის მიემართა შუამდგომლობით, უახლოეს სხდომაზე მოწვეული ყოფილიყო ექსპერტი, კონკრეტულად სამართლის დარგის სპეციალისტი, რომელიც საბჭოს დაეხმარებოდა, როგორც წარმოდგენილ დოკუმენტებში კონტექსტუალური

ნაწილის, ასევე დარგობრივი კუთხით შეფასებაში. პროცესი გაგრძელდებოდა ისე, როგორც აკრედიტაციის საბჭოს სხდომა გულისხმობს დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში. საბჭოს თამვჯდომარის განმარტებით, საბჭოს წევრები გავიდოდნენ სათათბირო შესვენებაზე, ჩატარდებოდა კენჭისყრა, ხმათა უმრავლესობის შემთხვევაში საბჭო ცენტრს მიმართავდა დარგობრივი ექსპერტის გამოყოფის თაობაზე, რომელიც უმოკლედ ვადაში, ინსტიტუციის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით დაეხმარებოდა საბჭოს წევრებს პროგრამის დარგობრივ, შინაარსობრივ ნაწილებთან მიმართებით.
შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა - მარინა გედევანიშვილმა დააფიქსირა საკუთარი მოსაზრება. იგი მიესალმა საბჭოს წევრებს, მოისმინა შეთავაზება, მაგრამ სათათბიროდ გასვლამდე ითხოვა უნივერსიტეტის პოზიციის გაჟღერება. მისი თქმით, ვიზიტი ჩატარდა დეკემბერში, უნივერსიტეტმა მიიღო 4 რეკომენდაცია ექსპერტებისგან, აქედან პირველი რეკომენდაცია, ეხებოდა ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანას, დაკონკრეტებას რომელი უწყება თანამშომლობის ფარგლებში რამდენ სტუდენტს წაიყვანდა პრაქტიკაზე. უმეტესი ნაწილი ამ ხელშეკრულებების მოწესრიგდა და წარედგინა ექსპერტებს, მოწესრიგების პროცესი გრძელდებოდა. დაწესებულება არ დაეთანხმა რეკომენდაციას, სადაც საუბარი იყო, რომ გაზრდილიყო პროფესორების რიცხვი მხოლოდ იმ მოსაზრებით რომ მოცემული ეტაპისთვის დაგეგმილზე მეტი რაოდენობის პროფესორი იყო დასაქმებული უნივერსიტეტში, მისი თქმით აკადემიურ თანამდებობაზე პროგრამას ჰყავს 12 პროფესორი, აქედან 11 აფილირებული, სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით, ამ რაოდენობის პროფესურა სრულიად საკმარისია და ამ ეტაპზე ზედმეტი საჭიროება უნივერსიტეტმა ვერ დაინახა. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ თუ საბჭო მიიღებდა გადაწყვეტილებას და შუამდგომლობით მიმართავდა ცენტრს, აღნიშნული საკითხი უმოკლეს ვადაში ინსტიტუციის და პროგრამის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით განიხილებოდა, ანუ საკითხის ხელახალი განხილვა ჩაინიშნებოდა მოწვეული ექსპერტის დასკვნის საფუძველზე, შესაბამისად მან დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა არ განხილულიყო ის რეკომენდაციები ან ნიუანსები, რისი განხილვაც აკრედიტაციის საბჭოს სხდომის პროცესში ხდება ხოლმე. დღის წესრიგში იდგა საკითხი, რომ საბჭოს წევრებს სჭირდებოდათ დარგობრივი ექსპერტი, რომელიც პროგრამასთან მიმართებით შინაარსობრივ საკითხებში, რეგულირებადი პროფესიის ფარგლებში დაეხმარებოდა, თუ საბჭო შუამდგომლობის თაობაზე გადაწყვეტილებას მიიღებდა, პროგრამის გარშემო განხილვა ამ ეტაპზე ვერ გაიმართებოდა. საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, საბჭოს წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, როგორც ექსპერტთა ვიზიტის შედეგად განხორციელებულ დასკვნას, ისე წინა უფლებამოსილი საბჭოს საოქმო ჩანაწერებს, აპელაციის კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, ყველა განაცხადსა და მიმართვას სააპელაციო კომისიის მიმართ, რომელიც ინსტიტუციამ წარადგინა. ყველა ფაქტგობრივი გარემოებიდან გამომდინარე დღის წესრიგში დგება საკიხი, რომ საჭიროა დარგობრივი სპეციალისტი, რომელიც საბჭოს წევრებს სამართლის მიმართულებით დაეხმარება იმაში, რომ შინაარსობრივად მიიღონ კითხვებზე პასუხები. ამ გარემოებიდან გამომდინარეა დაყენებული წინადადება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ იგი დაწვრილებით საკითხების განხილვას არ გეგმავდა, სურდა გაეჟღერებინა ის მოლოდინი რაც უნივერსიტეტს ჰქონდა საბჭოს სხდომიდან. მისი თქმით, ფაქტი ერთია, რომ დაზარალდა უნივერსიტეტი იმიტომ, რომ ოქმისა და სტანდარტების შეფასებების შეუსაბამო გადაწყვეტილება იქნა მიღებული. ორი მეტწილი შესაბამისობით უნივერსიტეტის პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია, მაშინ როდესაც ორი მეტწილი შესაბამისობა ამის გაკეთების საშუალებას არ იძლევა. სწორედ ეს გააპროტესტა დაწესებულებამ სააპელაციო საჩივრით, გადაწყვეტილება უპირობოდ გაუქმდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიუთითა, რომ გადაწყვეტილება არ გაუქმებულა, აპელაციამ უკან დააბრუნა საკითხი აკრედიტაციის საბჭოზე განსახილველად. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით,

საბჭოს მხრიდან პოზიცია და მოლოდინი არის შემდეგი, ვინაიდან არის ორი მეტწილი, იქნას კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანილი და აღარ მოხდეს პროგრამის დეტალური განხილვა. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება რეკომენდაციების იმ ნაწილს არ ეთანხმება რაც საბჭომ დაამატა, მათი მოთხოვნაა რომ ორი მეტწილი შესაბამისობა მოვიდეს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.
საბჭოს თავმჯდომარის თქმით, ერთია გადაწყვეტილება, სადაც ტექნიკური ხარვეზი იყო დაფიქსირებული, თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტებს ასევე თან ერთვის საოქმო ჩანაწერი, რომელიც საბჭოს სხდომაზე გაკეთდა, სადაც წარმოდგენილია მთელი რიგი დამატებითი რეკომენდაციები, რაც დასკვნის შემდგომ განხილვის დროს იქნა წარმოდგენილი. საბჭომ უნდა განიხილოს დასკვნები, რომლებიც არსებობდა და წარმოდგენილი დოკუმენტები. საბჭოს წევრმა დაამატა, რომ ექსპერტებისა და ინსტიტუციის მოსაზრება გასაგები იყო, მაგრამ ამჟამად საბჭოს ჰქონდა ასევე საკმაოდ დიდი ჩამონათვალი რეკომენდაციებისა, რომელიც წინა საბჭომ გასცა.
დაწესებულების წარმომდგენლის თქმით, შეცდომის ნაწილი მდგომარეობდა იმაში, რომ ორი მეტწილი შეფასების პირობებში, პირობითი აკრდიტაციის გადაწყვეტილება ვერ გაფორმდებოდა, რეკომენდაცია რეალურად არის ერთი, ლიტერატურაა განსაახლებელი და თემატიკა გადასახედი, მეტი რეკომენდაცია საბჭოს არ განუსაზღვრავს. დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ რეკომენდაციები სულ ხუთია და არცერთი არ არის ისეთი, რომლის შესრულებას უნივერსიტეტს ერთი წლის განმავლობაში არ შეუძლია. ქვესტანდარტს ნაწილობრივი შეფასება ენიჭება მაშინ როდესაც რეკომენდაციები ისეთია, რომელთა შესრულებას სჭირდება ერთ წელზე მეტი და ამისთვის უნივერსიტეტი მზაობას გამოთქვამს. მისი თქმით, საბჭოს სხდომაზე უნივერსიტეტისთვის არავის უკითხავს, მზად იყვნენ თუ არა რეკომენდაციების გამოსწორებისთვის. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პროფესორის თავისუფლებაში შეჭრაა მიუთითო მას როგორ დაწეროს სილაბუსი. საბჭოს პროფესორები ვერ ესწრებოდნენ, რადგან სილაბუსების გარჩევა თუ მოხდებოდა უნივერსიტეტი ამაზე გაფრთხილებული არ ყოფილა. გაცემულია ხუთი რეკომენდაცია, ერთშია გაერთიანებული ორი სილაბუსი, ისეთი რეკომენდაციებია რომელთა გამოსწორებასაც ერთ წელზე მეტი დრო არ სჭირდება, შესაბამისად ნაწილობრივ შესაბამისობაზე ქვესტანდარტი ვერ ჩამოვიდოდა, შეიძლება იყო ამ საკითხზე მსჯელობა, თუმცა მისი თქმით, ეს ოქმში დაფიქსირებული არ არის.
საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭოს სხდომაზე ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო, სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად საბჭოს წევრებს დასჭირდებოდათ დამატებითი დრო, დარგის მოწვეული ექსპერტი და მისი დასკვნა პოზიცია გამოხატა ექსპერტმაც. მან მოკლედ მიუთითა, რომ წინა საბჭოზე დამატებითი რეკომენდაციების გამოცხადების დროს ექსპერტებს არ ჰქონდათ მოცემული ფორმატის გათვალისწინებით დასაბუთების წარდგენის საშუალება. შესაბამისად, ხელახლა მოხდა ყველა სილაბუსის შესწავლა. მისი თქმით, თავის დროზე რეკომენდაცია არ დაიწერა, რადგან ჩაითვალა ეს იქნებოდა აკადემიურ თავისუფლებაში შეჭრა. შესაძლოა სილაბუსი ვინმეს არ მოეწონოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას არ გაჰყავს სტუდენტი შედეგზე. მით უმეტეს, ექსპერტი გაეცნო საბჭოს მიერ დადგენილ რეკომენდაციებს და ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ რეკომენდაციაში არ ყოფილა მითითება შედეგზე ვერ გაყვანის თაობაზე. შესაძლებელია დაწერილიყო ლიტერატურის განახლებისა და თემატიკის გადახედვის თაობაზე, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს რომ სილაბუსი არ აკმაყოფილებს სტანდარტის მინიმალურ მოთხოვნებს. საბჭოს თავმჯდომარემ მიუთითა, რომ ექსპერტმა ბრძანა ის მიდგომა, რომელიც არის განსხვავებული მიდგომა საბჭოს მიერ დამატებულ რეკომენდაციებზე. ეს რეკომენდაციები ექსპერტებმა არ გაიზიარეს. საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, აქ იკვეთება ის ფაქტი, რომ წარმოდგენილი წევრებით საბჭოს არ აქვს რეგულირებად სფეროში ის სამართლებრივი კომპეტენცია, რომ განიხილონ სილაბუსი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი და ექსპერტების პოზიციები სრულად ემთხვეოდა ერთმანეთს. პროფესორებს წინასწარი ინფორმაცია არ ჰქონდათ იმასთან დაკავშრებით, რომ მათ სილაბუსებზე იქნებოდა საუბარი. მისი აზრით ეს არის აკადემიურ თავისუფლებაში შეჭრა. დაწესებულებას საბჭოსგან მოლოდინი ჰქონდა, რომ იმსჯელებდნენ არის თუ არა ეს ხუთ რეკომენდაცია სტანდარტის ნაწილობრივ შეფასებაში ჩამოტანის საფუძველი, მისი თქმით გამოვიდა რომ უნივერსიტეტმა ორჯერ მიიღო მონაწილეობა ერთი და იმავე პროგრამის განხილვაში. მისი თქმით, 15 მარტის შემდეგ პროგრამას აღარ აქვს აკრედიტაცია, არადა პროგრამას ჰყავს მაგისტრები. მან დასძინა რომ სადოქტორო პროგრამის შემთხვევაშიც იგივე მოხდა, უნივერსიტეტს სურდა სწავლის დაწყება პირველი აპრილიდან და მას შემდეგ ეს საკითხი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია. მან გამოთქვა შიში რომ სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით იგივე გადაწყვეტილება ცუდად აისახებოდა სტუდენტებზე. დაწესებულების წარმომდგენლის თქმით 30 წელია ამ სფეროშია, ხოლო 10 წელია უნივერსიტეტში მუშაობს, თუმცა პრეცენდენტი, რომ სამი კვირის განმავლობაში ორ პროგრამას დადგომოდა მსგავსი შედეგი, არ ჰქონია. დაწესებულებას მოლოდინი ჰქონდა, რომ საბჭოს წევრები აღარ დაიწყებდნენ განხილვას. საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა პირობითი აკრედიტაციის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთითა, რომ მინისტრის ბრძანებით სამართლის პროგრამებს, რომლებიც 2011 - 2012 წლებში იყო აკრედიტებული, აკრედიტაციის ვადა 15 მარტამდე ჰქონდა განსაზღვრული, რადგან დაწესებულებას სააპელაციო საბჭომ დაუკმაყოფილა მოთხოვნა, რომ ორი მეტწილი შესაბამისობით პროგრამას არ ეკუთვნოდა პირობითი აკრედიტაცია და გააუქმა გადაწყვეტილება, გამოდის რომ პროგრამას ახლა აღარ აქვს პირობითი აკრედიტაცია. საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს შესთავაზა ამ საკითხის ცენტრთან დაზუსტება. დაწესებულების წარმომადგენლის მითითებით, როდესაც პროგრამა აკრედიტაციას კარგავს სტუდენტები გადაჰყავთ ხოლმე სხვა უნივერსიტეტში, რაც ამ შემთხვევაში ვერ მოხდება, რადგან პროგრამა ჯერ კიდევ ადმინისტრაციული წარმოების პროცესშია.
ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა ცენტრის თანამშრომელმა, ლალი ოდიშვილმა. მისი თქმით, დებულების მიხედვით, თუნდაც გადაწყვეტილების გასაჩივრებისას, გადაწყვეტილება რჩება ძალაში, მანამ სანამ ახალ გადაწყვეტილებას არ მიიღებს ორგანო, შესაბამისად მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო საბჭომ გამოგზავნა საკითხი ხელახლა განსახილველად, სანამ არ იქნება მიღებული ახალი გადაწყვეტილება, პირველად მიღებული გადაწყვეტილება მოქმედებს და ძალაშია. პროგრამას ამ ეტაპზე უფიქსირდება, რომ აქვს პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

საბჭოს თავმჯდომარის თქმით, პროგრამა დაუბრუნდა საბჭოს რათა მოხდეს ხელმეორედ ყველაფრის გადახედვა, ყველა წარდგენილი დოკუმენტის განხილვა, დამატებული რეკომენდაციების განხილვა. სამივე კომპონენტის გათვალისწინებით საბჭოს სჭირდება ადამიანი, რომელიც ზუსტად ამ დარგის ნიუანსებში შევა და საბჭოს წევრებს ყველა კითხვაზე გასცემს პასუხს.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ვიდრე ადმინისტრაციული წარმოება არ დამთავრდება სტუდენტებს ვერ გადაიყვანენ სხვა უნივერსიტეტებში. თუმცა გადაწყვეტილების მიღება საჭირო იყო იმის გასარკვევად პროგრამას შვიდწლიანი აკრედიტაცია აქვს თუ ორწლიანი. დაწესებულების წარმომადგენლის აზრით, გადაწყვეტილებაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი, რადგან ოქმში მსჯელობა არ ყოფილა იმასთან დაკავშირებით რომ სილაბუსებში დაწერილი რეკომენდაციები იძლევა საფუძველს რომ 2.3 კომპონენტი ჩამოვიდეს ორი საფეხურით ქვევით. მისი თქმით, გადაწყვეილებასა და ოქმში ერთი სიტყვაც არ არის ნახსენები იმასთან დაკავშრებით, რომ საბჭომ იმსჯელა რომ 2.3 კომპონენტი უნდა ჩამოვიდეს ნაწილობრივ შესაბამისობაში. თუ კი ეს მსჯელობა ოქმში იქნბოდა ასახული, ხოლო შემაჯამებელ გადაწყვეტილებაში არ იქნებოდა ჩამოტანილი, დაწესებულების წარმომადგენელი იფიქრებდა რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი. ლალი

ოდიშვილმა მიუთითა, რომ სათათბირო შესვენების გარდა ოქმში აისახებოდა სრულად მთელი ინფორმაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ საბჭოს წევრებს არ დაუსვამთ ინსტიტუციის წარმომადგენლებისთვის კითხვა რეკომენდაციების შესრულების მზაობასთან დაკავშირებით. საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:50
დასრულების დრო: 18:55

საბჭოს თავმდჯომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის გადაწყვეტისათვის ცენტრთან შუამდგომლობა, მოეწვიათ სამართლის დარგის დამოუკიდებელი ექსპერტი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 15
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება : საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, შუამდგომლობით მიმართოს ცენტრს, რათა აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით გამოიყოს დარგის ექსპერტი, რომელიც შესაძლებლობას მისცემს საბჭოს პროგრამასთან მიმართებით დარგობრივი კუთხით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. რაც თავის მხრივ საბჭის მისცემს საშუალებას, ობიექტურად, დადგენილი კომპეტენციების ფარგლებში განიხილოს და შემდგომში მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებით. აქვე, საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრს მიმართა, რომ დარგის სპეციალისტი უმოკლეს ვადებში ყოფილიყო წარმოდგენილი, იმისთვის რომ პროცესს გონივრულ, დადგენილ ვადაში მიეცეს მსვლელობა.

4. მეოთხე საკითხი : სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ინფორმაციული სისტემების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმაციული სისტემები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11.07.2012 გადაწყვეტილება N 185
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ინფორმაციული სისტემები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმაციული სისტემების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11		

	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	უნივერსიტეტის ქ. 13, თბილისი, თსუ XI კორპუსი, 0177, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს მარიამ შენგელიამ, გიორგი ღაღანიძემ, თეონა მატარეძემ და ნინო ჭალაგანიძემ.

თვითაცილების საფუძველს 3 წევრის შემთხვევაში წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან, მარიამ შენგელია კი განსახილველი საკითხის დაწესებულებაში დოქტორანტია.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რადგან განიხილებოდა ერთი დაწესებულების პროგრამები, უმჯობესი იქნებოდა მათი ერთად განხილვა.

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დააკისრა საბჭოს წევრს - მაკა კაჭარავას.

საბჭოს თავმჯდომარემ წარმოადგინა მოკლე ინფორმაცია განსახილველ პროგრამასთან დაკავშირებით, მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ინფორმაციული ტექნოლოგიების მაგისტრი, პროგრამა 2012 წელს იყო აკრედიტებული, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ნანი არაბული.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს და წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა. ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 21 დეკემბერს, დისტანციურ ფორმატში. შეხვედრები დღის წესრიგის მიხედვით მიმდინარეობდა, განხორციელდა შეხვედრა თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მოწვეულ და ძირითად აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრეულებთან. ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი მიგნებები წარედგინა დაწესებულების წარმომადგენლებს. მან აღნიშნა, რომ შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში და ყველა საკითხთან დაკავშირებით მიეცა ექსპერტებს საშუალება საკითხების სემოწმებისა. მოხდა რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომისა და რეცენზიების გადახედვა. ექსპერტმა წარმოადგინა რეკომენდაციები:

- პროგრამაში გაიზარდოს არჩევითი საგნების წილი
- პროგრამაში დაემატოს ღრუბლოვანი სისტემების სასწავლო კურსი ან აღნიშნული საკითხის თემატიკები ჩაემატოს ძირითადი საგნების შინაარსი
- პროგრამაში უსაფრთხოების საკითხები თემატიკების მიხედვით იქნას გაწერილი ყველა ძირითადი საგნის სილაბუსებში ან დაემატოს შესაბამისი საგანი
- პროგრამაში დაემატოს საგანი ან თემატიკა, სადაც სტუდენტები შეისწავლიან ინფორმაციულ სისტემებში გამოყენებულ კვლევის მეთოდებს
- განახლდეს „პროგრამული უზრუნველყოფის ეკონომიკა“, „ბაზარზე გამოყენებული ინფორმაციული სისტემები“ მითითებული ინგლისურენოვანი ლიტერატურა და ქართულენოვან ლიტერატურას ჩაემატოს გამოშვების წლები.
- საგანში „პროგრამულლი უზრუნველყოფის ინჟინერია 2“ ძირითად და დამატებით ლიტერატურაში მიეთითოს სასწავლო მასალის ამსახველი ლინკები ან შესაბამისი ლიტერატურა
- „კომპიუტერული ქსელები და უსაფრთხოება“ სათაური და შინაარსი მოვიდეს თანხვედრაში
- საგნებში ინფორმაციული სისტემების ანალიზი, პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია 1, ინტელექტუალური სისტემების მოდელები MATLAB-ში, ინფორმაციული სისტემების დიზაინი და სხვა, ჩაიშალოს პროექტის შეფასების კრიტერიუმები
- სასწავლო კურსში „სამაგისტრო ნაშრომი“ გაიწეროს ხელმძღვანელთან მუშაობის ქულის კრიტერიუმები

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა ინსტიტუციის წარმომადგენელს გადასცა. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი მიესალმა საბჭოზე დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს. მან მოკლე განმარტება გააკეთა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით. კურსების ზრდასთან დაკავშირებით რაიმე მარეგულირებელი დოკუმენტი უნივერსიტეტში არ არის, არჩევითი და სავალდებულო კურსების დოზის ან პროპორციის შერჩევა მთლიანად პროგრამის განმახორციელებლების, პროგრამის ხელმძღვანელების და კომიტეტის გადასაწყვეტია. თუ პროგრამა იღებს გადაწყვეტილებას შედარებით მცირე რაოდენობის კურსები ჰქონდეს, ყოველთვის დაცულია ის ნორმა, როდესაც სტუდენტს ერთ ვაკანსიაზე რამდენიმე კურსი შეეთავაზება. ასეთი პროპორციის არსებობა პროგრამის განმახორციელებლების გადაწყვეტილება იყო, რაც სწავლის შედეგების მიღწევაში ხელს არ უშლის სტუდენტს. მან სიტყვა პროგრამის ხელმძღვანელებსა და ფაკულტეტის წარმომადგენლებს გადასცა.
საუბარი განაგრძო გია სირბილაძემ, პროგრამის ერთ-ერთმა თანახელმძღვანელმა. მისი თქმით, პროგრამის შექმნა დაიწყო დაახლოებით 2005 წლიდან, საფუძველი კი არის თანამედროვე მეთოდოლოგიის გათვალისწინება. ასეთი საზოგადოება კომპიუტერული მეცნიერების მიმართულებით არის ACM, რომელიც კომპიუტერული მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებით სთავაზობს მეთოდოლოგიურად როგორ უნდა აიგოს კურიკულუმები საუნივერსიტეტო სწავლების გარემოში პირველ და მეორე საფეხურზე. მისი თქმით, ამაზე ფუნდამენტური და სანდო მიდგომა არ არსებობს, ინტელექტუალური სისტემების მიმართულებით საქართველოში გვაქვს სერიოზული სკოლა, მსოფლიო დონის კვლევებით, მაგრამ სასწავლო კურიკულუმის შედგენის თვალსაზრისით საფუძველი არის ACM მეთოდოლოგია. მთავარი კონცეფცია ინფორმაციული ტექნილოგიებისა კარგად აქვს აღქმული დაწესებულების წარმომადგენელს. რაც მთავარია კომპეტენციები, რომელიც უნდა შეიძინოს მაგისტრმა როდესაც დაამთავრებს პროგრამას, კომპეტენციები უნდა დაიფაროს სხვადასხვა საგნების საკითხებით, 15 წელია პროგრამა სწორედ ამას ემსახურება. მისი თქმით, გასათვალისწინებელია, რა თქმა უნდა, ქართული შრომის ბაზარი, ადამიანური რესურსები, მეთოდოლოგია, ეს არის ის დიდი სერიოზული სინთეზი, რასაც პროგრამამ მიაღწია. მან აღნიშნა რომ 2012 წელს ACM - ის კონფერენციაზე მიდიოდა სერიოზული გარჩევები, საგნის ღრმა დეტალიზაცია, საკითხებზე მსჯელობა, რამდენად იფარება კომპეტენცია საგნებით, უკვე

საქართველოშიც დადგა იმის დრო, რომ შეიქმნას გარემო სააკრედიტაციო კომისიამ გასცეს ისეთი რჩევები და შესაძლებლობები, რომ განვითარდეს პროგრამა. ექსპერტებთან შეხვედრა დაწესებულების წარმომადგენლებისა იყო საკმაოდ შემოქმედებითი, გაიცა რეკომენდაციები, რასაც დაწესებულებამ დიდი მონდომებით უპასუხა. სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი რეკომენდაცია მოიხსნა, დანარჩენი დარჩა, რამაც დაწესებულების წარმომადგენლის გაოცება გამოიწვია. ყურადღება არ მიექცა იმას, რომ ACM-ის მეთოდოლოგიით მოხდა პროგრამის აწყობა. დაწესებულების წარმომადგენელმა მიღებული რეკომენდაციები ორ ნაწილად გაყო, პირველი ოთხი, რომელიც დამაზიანებელია მეთოდოლოგიის თვალსაზრისით, ხოლო მეორე ნაწილი არადამაზიანებელი. მისი აზრით, პროცესი უნდა იყოს შემოქმედებითი.
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა იმ რეკომენდაციებზე პოზიციის წარმოდგენა, რომლებსაც ისინი არ ეთანხმებოდნენ.
საუბარი განაგრძო ბიძინა მიდოდაშვილმა. მისი თქმით, პროგრამა შეიცავს კონცენტრაციებს. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დოკუმენტის მიხედვით კონცენტრაციებმა 50% განსხვავებული საგნები უნდა მოიცვას. 120 კრედიტიდან 60 კრედიტია კონცენტრაციები + სამაგისტრო ნაშრომი. რჩება 60 კრედიტი, დაწესებულებას ისე აქვს გადანაწილებული რომ სავალდებულო თემების მოკლება შეუძლებელია. თუ კი არჩევით საგნების წილი გაიზრდება, მხოლოდ სავალდებულო საგნების დაკლების ხარჯზე მოხდება, რაც დაწესებულებას არ მიაჩნია სწორად. განხილვა გაგრძელდა მეორე რეკომენდაციის გარშემო, რამდენიმე საგანში იმ ხარისხით, რაც შეესაბამება საგნის მოთხოვნებს შეხება ნამდვილად არის. სემინარის მიმდინარეობისას ღრუბლოვანის საკითხთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა სტუდენტებს ჰკითხა აზრი, შეიძლება ექსპლუატაცია გაიწიოს ღრუბლოვან გარემოში, რაც გარკვეული პროცედურის შესრულებას მოითხოვს. Acm-ის კომპეტენციათა არეებში არის მოხსენებული ღრუბლოვან გარემოში მუშაობა, თუმცა ინფორმაციული სისტემები გადის ღრუბლოვან გარემოში და შესაბამისი ამოცანებიც არის. ეს კონკრეტული აიტი ჯგუფის ამოცანაა და რა დოზითაცაა არჩევით საგნებში წარმოდგენილი სრულად მისაღებია დაწესებულების წარმომადგენლების აზრით.
საბჭოს თავმჯდომარემ რამდენიმე შეკითხვა გააჟღერა ინსტუტიციასთან მიმართებით. მან აღნიშნა რომ გადახედა სამაგისტრო ნაშრომებს, ჩამონათვალს და დაინტერესდა, თუ როგორ აიხსნება ის გარემოება, რომ 2018 წელს ერთი და იგივე ხელმძღვანელის მიერ ორი სხვადასხვა მაიგსტრი იცავდა იდენტური დასახელებით ორ თემას სახელწოდებით „ჰესიტანტური ლინგვისტური მნიშვნელოვანი ფაზი ტოფსის მიდგომა, პროგრამუოლი უზრუნველყოფის განვითარება მრავალკრიტერიუმიანი გადაწყვეტილების მიღების მოდელისთვის“ ორივე მაბგისტრმა მიიღო 91 ქულა. იმავე წელს, ერთი და იგივე ხელმძრვანელს მიერ ორი სხვადასხვა მაგისტრი იდენტური სახელწდებით ორგანზაციაში პერსონალის წვდომის კონტროლის უზრუნველსაყოფად მონაცემთა ბაზის შექმნა. ასევე კითვა ექსპერტთან, დასკვნაში წარმოდგენილი იყო რჩევა „სასურველია შემუშავდეს სამაგისტრო ხელმძღვანელის უფლებამოვალეობების განმსაზღვრელი დოკუმენტი“ აღნიშნული დოკუმენტის არ არსებობა, ხომ არ აყენებს ზიანს პროგრამას. რატომ განისაზღვრა იგი რჩევად და არა რეკომენდაციად.

19:00 სთ-ზე საბჭოს სხდომა დატოვე ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

აკრედიტაციის დებულების 27[2] ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭ ოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო იმნაძე.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა ექსპერტებსა და ინსტიტუციის წარმომადგელებს. ინსტიტუციის წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ მიუთითა, რომ გამოყო ოთხი რეკომენდაცია, რომელსაც დამაზიანებლად მიიჩნევდა. ინფორმაციული სისტემები ეს არის გამოყენებითი პროექტი, ეს არის სისტემური ტიპის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც გამოირჩევა თავისი არქიტექტურის შექმნით, პროცესში ერთვებიან დიზაინერები, პროგრამისტები, შიდა კიბერუსაფრთხოების ჯგუფი. შეიძლება ითქვას, რომ ეს მანუფაქტურული საქმიანობაა. პროგრამის წარჩინებული მაგისტრანტები და დოქტორანტები არიან წამყვანი სპეციალისტები

დიდ აიტი ჯგუფებში. ბოლო პერიოდში acm-ის მეთოდოლოგიურმა ჯგუფმა გაავრცელა, გაზარდა ძირითადი დარგები, რომელთა შორისაა კიბერუსაფრთხოება და მონაცემთა დამუშავების თანამედროვე მიდგომები. კიბერუსაფრთხოება და ინფორმაციული უსაფრთხოება ცალკე დარგია, ისეთივე როგორც კომპიუტერული უსაფრთხოება, ინფორმაციული სისტემები. ამიტომ აიტი ჯგუფებში ეს ხალხი მონაწილეობს სხვადასხვა პროექტებში და თავის საქმეს აკეთებს. თითქმის ყველა საგანში, რადგან გამოყენებითი ხასიათს პროექტია აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა, არის სწორედ მეთოდოლოგიური მიდგომა.ხოლო მისი გვირგვინი არის სამაგისტრო ნაშრომის შექმნა. პროგრამასთან მიმართებით, როგორც კოლეგებს, ისე სტუდენტებს დაუსვა დაწესებულების წარმომადგენელმა კითხვა. დაწესებულება დაზუსტბულ, კონკრეტულ ფორმულირებულ რეკომენდაციებს ყურადღებით მოეპყრობა. მან იკითხა რა იგულისხმებოდა მითითებულ საგანში, ან კონკრეტულად რა თემატიკა უნდა ჩაიდოს საგნებში, რომ შემდეგ მოხდეს მისი გათვალისწინება. შემდეგ დაწესებულების წარმომადგენელმა განიხილა მისი შეფასებით არადამაზიანებელი რეკომენდაციები, სადაც საუბარია ერთ-ერთი საგნის ლიტერატურაზე. საგანში ჩანერგილია საპის სწავლება, საგნის პროფესორი მო ნაწილეობდა პროექტში, სადაც ქსელურ გარემოში იყო საპის 2008-2012 წლის მოდულები, 2005 წელიც გადიოდა გამოყენებით ფორმატში. საპის მნიშვნელოვანი მოდულები, გამოიყენება პროგრამაში. მეორე სახელმძღვანელოსა და კონსპექტის ნაწილზე გაცემულ რეკომენდაციას იგი დაეთანხმა. საგანი პროგრამული ინჟნერია 2 არის ძალია პრაქტიკული, ცვალებადი და მეთოდოლოგიური სასწავლო ლინკებია ჩადებული პროგრამის სილაბუსში, რაც ყოველ წელს შეიძლება შეიცვალოს. კონკრეტული ლიტერატურის ჩადება არ ხდება ამ მიმართულებით ცვალებადობის გათვალისწინებით. კომპიუტერული ქსელები და უსაფრთხოება - სათაური და შინაარსი მოვიდეს თანხვედრაში, აღნიშნული პროფესორის დაჟნებული მოთხოვნით არის წარმოდგენილი, ეს არის ქსელური უსაფრთხოების საკითხები, საგნის ხელმძღვანელი კითხულობს რატომ არ შეიძლება ერქვას ის სათაური, რომელიც თავად შემოიტანა და სახელმძღვანელოსაც პასუხობს. შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა დასძინა, რომ სილაბუსებში ნამდვილად ჩაშლილია პროექტის შეფასების კრიტერიუმები. ბოლო რეკომენდაციასთან მიმართებით, მან მიუთითა რომ მინიჭებულია 20 ქულა, გაწერის საკითხს დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა.

სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენლებს და მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ შეკითხვები.

საბჭოს წევრმა ანზორ ბერიძემ აღნიშნა რომ რომ პროგრამის ხელმძღვანელმა განხილვის დროს მიუთითა რომ არის რეკომენდაციები, რომლებიც პროგრამას დააზიანებს თუკი დარჩება, მისი აზრით, ერთ-ერთი ასეთი რეკომენდაცია არის, სადაც საუბარია გამოყენებითი კვლევის მეთოდების საგნის ჩასმასთან დაკავშირებით. იგივე დასკვნაში საუბარია, რომ სამაგისტრო ნაშრომების დონე არის მოთხოვნების შესაბამისი და ასეთ შემთხვევაში, როდესაც სამაგისტრო ნაშრომი სრულდება მაღალ დონეზე, რა აუცილებლობა არის იმისა, რომ ცალკე საგნად ისწავლებოდეს კვლევის მეთოდები. თუ სამაგისტრო ნაშრომი არის შესაბამისი დონის, ეს იმას ნიშნავს, რომ მაგისტრანტი ფლობს კვლევის მეთოდებს. მან ასევე სთხოვა ექსპერტებს დაეზუსტებინათ იმ ოთხ რეკომენდაციაზე, რომელზეც დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგებში მითითებულია პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის უნარი ძალიან მცირედ, ერთი წინადადებით, სადაც სწავლის დამოუკიდებლად წარმართვაზეა ლაპარაკი. ექსპერტებმა რჩევაში მიუთითეს, რომ აღნიშნული ჩანაწერი შეესაბამებოდეს მეშვიდე დონეს, საბჭოს წევრის აზრით, აღნიშნული ჩანაწერი მეშვიდე დონეს ნამდვილად შეესაბამება, და ალბათ ინსტიტუციამ გაითვალისწინა ცენტრის მიდგომა, რომ თუ პროგრამას არ ჰქონდა პრაქტიკის კომპონენტი, მაშინ პასუხისმგებლობის უნარის ჩაწერას სიფრთხილით უნდა მოჰკიდებოდნენ ინსტიტუციები, მაგრამ აქვე დასძინა, რომ სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი გადის პასუხისმგებლობისა და

ავტონომიურობის უნარზე, სადაც წერია კვლევითი უნარების განვითარებაზე და ეთიკის ნორმების დაცვაზე. ის დაინტერესდა, თუ სამაგისტრო ნაშრომი ამ ორ უნარზე გადიოდა, რატომ არ გადმოვიდა აღნიშნული ჩანაწერი პროგრამის სწავლის შედეგებში. შემდეგი შეკითხვა შეეხო არჩევით საგნებს. საბჭოს წევრის თქმით, პროგრამა აგებულია ისე, რომ ორ კონცენტრაციას მოიცავს, თუმცა არჩევითი ბლოკი ორივე კონცენტრაციისთვის არის საერთო. საბჭოს წევრს პროგრამის ხელმძღვანელთან სურდა დაზუსტება, რადგან კონცენტრაციებს ცალ-ცალკე არ მოყვება თავისი არჩევითი ბლოკი, რამდენად აღრმავებს ცოდნას და კრავს სწავლის შედეგს, თუ სტუდენტმა აირჩია ერთ-ერთი კონცენტრაცია. სხდომის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ გაიმეორა ნათია ზედგინიძის მიერ დასმული შეკითხვები. მან დამატებით თავადაც დასვა რამდენიმე შეკითხვა. ერთ-ერთი შეეხო შრომის ბაზარს და დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზს. მისი თქმით, უნივერსიტეტს კარგად აქვს წარმორდგენილი და ჩაშლილი, ანალიზიც მოყვანილია, თუმცა ეს გაკეთებულია უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსის მიერ და მოიცავს ყველა ფაკულტეტს, გამოკვეთილია ის წილი რაც აღნიშნულ ფაკულტეტს შეეხება. ის დაინტერესდა აქვს თუ არა პროგრამის ხელმძღვანელს ურთიერთობა დამსაქმებლებთან, დამსაქმებლების მიერ იყო თუ არა რაიმე რეკომენდაცია გაცემული პროგრამის შედგენასთან დაკავშირებით და გათვალისწინებული იქნა თუ არა ეს რეკომენდაციები. მან აღნიშნა რომ პროგრამა ძირითადად შედგება 5 კრედიტიანი საგნებისგან, ყველა საგანი შეიცავს ერთი საათი ლექციას და ორი საათი ლექციას, რამდენიმე საგანი ათკრედიტიანია, ის დაინტერესდა ყველა საგანი ერთნაირად საჭიროებს თუ არა მსგავს გადანაწილებას. ასევე, რამდენიმე სილაბუსში შეფასების კრიტერიუმში არის პროექტი, რეფერატი, თუმცა ბუნდოვანი სახისაა და ხომ არ უშლის სტუდენტისთვის ხელს აღქმას, თუ როგორ უნდა შეასრულოს დავალებები. სილაბუსების ძირითად ლიტერატურაში მითითებულია სალექციო კურსები, თუმცა არ არის მითითებული წლები. სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა თუ არსებობს მეთოდსაბჭო და თუ აქვს რაიმე გრიფი მინიჭებული, რამდენად შეესაბამება სასწავლო კურსს.

საბჭოს წევრმა დამაზუსტებელი შეკითხვა დასვა, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, თუ რა მოიაზრებოდა მასში, ჯამური კრედიტების რაოდენობაში გადანაწილება არჩევითი სანების კრედიტების იყოს უფრო მეტი თუ კრედიტების ჯამური რაოდენობა დარჩეს იგივე და გაიზაროს არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა. მისი თქმით, თუ მეორე შემთხვევა იგულისხმება, მაშინ რეკომენდაციაში არ ჩანს კონკრეტულად რა სასწავლო კურსები მოიაზრება.

დასმულ კითხვებზე პასუხების გაცემა დაიწყო ექპსერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მისი თქმით, სამწუხაროა რომ დაწესებულების წარმომადგენელმა გაცემული რეკომენდაციები დამაზიანებლად მიიჩნია, რადგან სწორედ დამაზიანებელი, რომ არ ყოფილიყო რეკომენდაცია, ჩაიწერა დაიმატოს ან თემატიკები ან საგნები. საუბარია, რომ თუ საგანი დაემატება, შესაძლოა იგი დამაზიანებელი იყოს, თუმცა ვიცით, რომ სილაბუსი მოძრავი ორგანიზმია და შესაძლებელია პერიოდულობით მასში თემატიკების შეცვლა. ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები ისეთი დარგია, რომ ყოველ წუთს რაღაც იცვლება, პროგრამაშიც ბევრი ცვლილება შევიდა დაწყებული 2012 წლიდან დღემდე. მისი თქმით, ექსპერტებს სტუდენტებთანაც და დამსაქმებლებთანაც ჰქონდათ გასაუბრება, იმ მნიშვნელოვანი სკაითხებიდან გამომდინარე, რაც ეხება უსაფრთხოებას, მოხდა რეკომენდაციების შემუშავება. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ 16 წელია მიმდინარეობს მუშაობა თემატიკაზე, დაწესებულების წარმომდგენლები დადიან acm - ის კონფერენციებზე, შეფასებულია კომპეტენციები, საკითხები. რაც შეეხება კიბერუსაფრთხოებასა და ინფორმაციის დაცვას, ეს ისეთივე დარგებია, როგორიც ინფორმაციული სისტემები და აღინიშნა, რომ აიტი ჯგუფებში წავიდა მანუფაქტურული მუშაობა, შეიცვალა ფილოსოფია. პროექტის კეთებაში ჩაბმულია კიბერუსაფრთხოების ხალხიც, ღრუბლოვანი ტექნოლოგიების ხალხიც. თუ უნივერსიტეტი მოინდომებს ახალი საგნის შექმნას, ეს გამორიცხულია. დაწესებულებას ნაშრომიც აქვს, თუ ზოგიერთ საგანში რა ხარისხით უნდა ყოფილიყო ინფორმაციული უჯსაფრთხოების

საკითხების გათვალისწინება. კოლეგების რეკომენდაციებია, რომ არჩევით საგნებში სასურველია ინფორმაციული ტექნოლოგიების საგნებით გაჯერება მოხდეს. ინფორმაციული ტექნოლოგიების არქიტექტურაში არის ღრუბლოვანი გამოთვლებისა და გარემოს საკითხები. ტექნოლოგია და ინფორმაციული საკითხების ერთმანეთისგან განსხვავება უნდა მოხდეს. დაწესებულების აზრი აქედან გამომდინარე არის რომ გაცემული ოთხი რეკომენდაცია დამაზიანებელია.

საბჭოს წევრმა კიდევ ერთხელ გაიმეორა შეკითხვა კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით, რადგან თუ სამაგისტრო ნაშრომი არის მაღალი ხარისხის, ეს არის ინფიკატორი იმის რომ სტუდენტი ფლობს კვლევის მეთოდებს. რა აუცილებლობა დაინახეს ექპერტებმა, რომ ეს საკითხი დაისვა რეკომენდაციად და არა რჩევად. ექსპერტმა განმარტა, რომ სამაგისტრო ხელმძღვანელი შეასწავლის თავის მაგისტრანტს კვლევის მეთოდებს. ხსენებულ დამოკიდებულებას უნივერსიტეტის წარმომადგენელი არ დაეთანხმა. ექსპერტმა კი აღნიშნა, რომ დაწესებულების წერილში მითითებული იყო, ყველა ხელმძღვანელი ასწავლის მაგისტრანტს იმ საჭირო მეთოდებს, რომ შემდეგ სტუდენტმა კვლევა განახორციელოს სამაგისტრო ნაშრომში. სამაგისტრო ნაშრომის მიზანში არ წერია, რომ ხელმძღვანელმა უნდა შეასწავლოს კვლევითი მეთოდები მაგისტრანტს ან ანალიზის საკითხები. არის საგნები, განსაკუთრებით ერთი კონცენტრაცია სადაც ძალიან საფუძვლიანად ისწავლება ანალიზი და კვლევა, თუმცა მეორე კონცენტრაციაში თვალნათლივ არ არის ეს გადმოცემული. სასურველი იქნება, რომ თემატიკა ზოგადად ჩამატებული იყოს. რეკომენდაციაში არ წერია, რომ საგანი დაემატოს, წერია, რომ ან საგანი დაემატოს ან თემატიკა ჩაიწეროს.

დაწესებულების წარმომადგენელმა პასუხი გასცა საბჭოს წევრის მიერ დასმულ შეკითხვებს პასუხისმგებლობის კომპეტენციის გაწერის თაობაზე. მისი თქმით, ცენტრის დამოკიდებულება ხშირ შემთხვევაში იყო ხოლმე პროგრამაში საერთოდაც არ ყოფილიყო მითითებული ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის კომპეტენცია, თუ ის არ მოიცავდა პრაქტიკულ ნაწილს. უნივერსიტეტი ამ გზით არ წავიდა, ყველა პროგრამაში გაწერილია ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის ნაწილი, თუმცა ხშირ შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელებს მიეცათ საშუალება ეს არ ყოფილიყო ერთმანეთისაგან მკაცრად გამიჯნული. რაც შეეხება სამაგისტრო ხელმძღვანელის ფუნქციებს, არის რჩევა თუ რეკომენდაცია, იყო თუ არა ამის გაწერის ვალდებულება. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქციები, რა თქმა უნდა, გაწერილია და კონკრეტულადაა მითითებული. საუბარი იყო ამ თემის სილაბუსში გაწერაზე, რაც რეკომენ დაცია არ არის, რადგან პროგრამის ხელმძღვანელები, ისევე როგორც სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები ძალიან დეტალიზებულად მუშაობენ მაგისტრანტებთან და დოქტორანტებთან. სხდომის თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ იგი ეხებოდა უფლება-მოვალეობის განმსაზღვრელი დოკუმენტს. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული დოკუმენტი არსებობსდა მასშიგანსაზღვრულია რომ პროფესორმა მაგისტრანტს უნდა უხელმძღვანელოს. მარეგულირებელი დოკუმენტები არსებობს, რომლის შესაბამისად მოქმედებენ ფაკულტეტზე პროფესორები. რაც შეეხება შრომის ბაზრის რეკომენდაციებს, უნივერსიტეტი ყველა პროგრამას სთხოვს შრომის ბაზრის კვლევის გაკეთებას. ხშირად ხდება ამ თემის განხილვა, ამ საკითხთან მიმართებით საბჭოს წევრები და დაწესებულების წარმომადგენლები არიან ერთსულოვანი. ეს არის ძალიან სპეციფიური, ძვირადღირებული, გასაწერია მეთოდოლოგია, ეს პროცესი კიდევ უფრო დასახვეწია. სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მისი კითხვა შეეხებოდა იმ თემას, ჰქონდა თუ არა პროგრამის ხელმძღვანელებს, წარმომადგენლებს რაიმე განხილვა დამსაქმებლებთან და ხომ არ ყოფილა დამსაქმებლებისგან რაიმე სახის რეკომენდაციები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ უნივერსიტეტში 51 პროგრამული კომიტეტი მუშაობს, მათი ფორმა ძალიან საინტერესოა, კომიტეტებში გაწევრიანებული არიან დამსაქმებლებიც. დამსაქმებლებთან კომუნიკაცია არის ინტენსიური და რეგულარული ხასიათის, დამსაქმებლის მიერ მოტანილი ინფორმაცია კომიტეტებში განიხილება და შესაბამისი ცვლილებები შედის პროგრამაში. პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ კომუნიკაცია დამსაქმებლებთან. რაც შეეხება კრედიტების ჩაშლას, ეს

საკითხი პროგრამის განმახორციელებელი ჯგუფის გადასაწყვეტია. ხშირ შემთხვევაში ეს არის ჯერადი, რაც მარტივია პროგრამის ორგანიზების თვალსაზრისით. ყველა კურსი, რომელიც წარმოდგენილია, ისეა განაწილებული, რომ ის სტუდენტის საშუალო დატვირთვაზე გაითვალოს. ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა დამატებითი განმარტება გააკეთა. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები გაწერილია ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით. როდესაც პროგრამები წარმოადგინა უნივერსიტეტმა, ასევე წარმოადგინა სამი სამაგისტრო პროგრამა. ერთ-ერთი პროგრამა კომპიუტერული მეცნიერებები, რომელიც ჯერ საბჭოზე არაა წარმოდგენილი, ხარვეზში დაიწერა რომ მაგისტრანტის ხელმძღვანელის უფლებამოსილებების ჩართვა. როდესაც ექსპერტები დაწესებულებაში იყვნენ, მათ გადაეცათ აღნიშნული დოკუმენტი. გარდა ამისა, უნივერსიტეტს აქვს რეგულაცია, როდესაც მაგისტრანტგის ხელმძღვანელი ვალდებულია სამი საათი კვირაში დაუთმოს მაგისტრანტს. მაგისტრანტის ხელმძღვანელობა ექვივალენტურია სამი საათის. მსგავსი სათაურის მქონე სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ეს არის ინფორმაციული მოდული კვლევითი სისტემების მაგისტრანტებისგან შესრულებული ნაშრომი. სათაური საერთოა, მაგრამ ქვესათაური ყველას სხვადასხვა აქვს. საერთოა ის, რომ მათ შექმნეს ინფორმაციული სისტემა, რომელსაც ვებ-გარემოში ბევრი მომხმარებელი ჰყავს.

ექსპერტმა განმარტა, რომ წარმოდგენილია ორი კონცენტრაცია, ამიტომაც ჩაითვალა რომ შესაძლებელია არჩევითი საგნების კიდევ დამატება. ინფორმაციულ სისტემებში არის უამრავი სხვა საკითხი, რომელიც პროგრამაში 120 კრედიტში არ ჩაეტევა. არჩევით საკითხებში დაემატოს შესაბამისი კურსები. ტერმინის „დაზიანება“ მნიშვნელობა ექსპერტს დაწესებულების წარმომადგენლების შეხედულებისაგან განსხვავებულად ესმის. დაწესებულების წარმომადგენის თქმით, ცვალებადობის გათვალისწინებით, არჩევითი საგნების დამატება მომავალში მოხდება. ექსპერტის აზრით, არჩევითი საგნების წილის გაზრდა სავსებით სწორი რეკომენდაციაა. ინფორმაციულ სისტემებში დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ღრუბლოვანი საკითხები და თუ კი ეს საკითხები პროგრამაში მეტად იქნება წარმოდგენილი, ის დამაზიანებელი ვერ იქნება. საბჭოს წევრმა მიუთითა, იქნებ დაზუსტებულიყო რა საგნების დამატებას ითხოვდნენ ექსპერტები, ან ამ საგნების არ არსებობის შემთხვევაში თუ ზიანდება პროგრამა. ექსპერტის თქმით, რეკომენდაციაში საუბარი არ არის იმ თემაზე, რომ პროგრამას რაიმე საგანი აკლია, ეს არ არის ხარვეზი. საუბარია თემატიკაზე, რომელიც მოთავსებული არ არის 120 კრედიტში. მნიშვნელოვანი საკითხების აღება და სილაბუსების შექმნა პროგრამის ხელმძღვანელების პრეროგატივაა. რეკომენდაციაში საუბარია საკითხების გაღრმავებაზე, რაც მნიშვნელოვანი და სტუდენტებისათვის საინტერესო იქნება.

დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთითა, რომ კომპეტენციები რაც უნდა ჰქონდეს მაგისტრანტს დაფარული უნდა იყოს სხვადასხვა საგნებით, თითოეული კომპეტენციის შინაარსი და საათების რაოდენობა გაწერილია, ამაზე ნამუშევარია. საბჭოს წევრი დაინტერესდა კვალიფიკაციის ჩარჩოსთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელების შეხედულებით. დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთითა, რომ საუბარი იყო კლასიფიკატორის ფორმულირებაზე, რაც არ არის დასავლური. საბჭოს წევრმა დამაზუსტებელი კითხვა დასვა, ამ სფეროში დარგობრივი მახასიათებელი თუ დამტკიცდა უკვე, რაზეც პასუხი გასცეს, რომ დარგობრივი მახასიათებელი ჯერ არ დამტკიცებულა. საბჭოს წევრმა იკითხა უშუალოდ აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა უფრო არის თეორიული ინფორმატიკის მიმართულება, პრაქტიკურის თუ გამოყენებითის მიმართულება. დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ პროგრამა არის გამოყენებითი მიმართულების, თუმცა სიღრმისეული წარმართვით პრაქტიკულსაც მოიცავს და თეორიულსაც. ახსენეს უკვე, რომ ერთი კონცენტრაცია ღრმადაა კვლევებით დატვირთული, ეს იმიტომ რომ კონცენტრაციაში ხელოვნური ინტელექტის თემებია. ეს ვერ დააკნინებს მეორე კონცენტრაციას, რაგან ინფორმაციის დამუშავება მხოლოდ ხელოვნური ინტელექტი არ არის. მაგალითად, უამრავი კორპორაცია, ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა ხდება, დიდი სისტემების ფუნქციონირებაც აქტუალურია. უნივერსიტეტის წარმომადგენლებს კურსდამთავრებულებთან ყოველ

ოთხშაბათს აქვთ შეხვედრა სემინარების საშუალებით. მნიშვნელოვანია ის ფუნდამენტური თეორიული საფუძვლები, რომლებიც მიიღო უნივერსიტეტმა სამაგისტრო პროგრამის სწავლებაში.

5. მეხუთე საკითხი : სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	7.11.2012 გადაწყვეტილება N 184
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0612 - მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	უნივერსიტეტის ქ. 13, თბილისი, თსუ XI კორპუსი, 0177, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს მარიამ შენგელიამ, გიორგი ღაღანიძემ, თეონა მატარეძემ და ნინო ჭალაგანიძემ.

თვითაცილების საფუძველს 3 წევრის შემთხვევაში წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან, მარიამ შენგელია კი განსახილველი საკითხის დაწესებულებაში დოქტორანტია.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს სთხოვა დასკვნის წარმოდგენა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმდჯომარის მითითებით, შეფასება განხორციელდა 200 წლის 18 დეკემბერს, მან წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრები და გადავიდა რეკომენდაციების განხილვაზე. ექსპერტებისთვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ინფრასტრუქტურის დათვალიერება, თუმცა ვიზიტები ონლაინ განხორციელდა. ინსტიტუციამ ექპერტებს გაუგზავნა ვიდეო და მისცა ექსპერტებს საშუალება ინტერიერის დათვალიერებისა და კომპიუტერული პროგრამების შემოწმებისა. ჯგუფის მიერ შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

- საგანს „მანქანური სწავლება“დაემატოს წინაპირობა „ქსელური დაპროგრამება Python ენის გამოყენებით“;
- გამოსწორდეს თემების თანაკვეთის პრობლემა საგანებში „კომპიუტერული ქსელები და უსაფრთხოება“და „ინფორმაციის უსაფრთხოება და დაცვა“;
- სასწავლო კურსის „კომპიუტერული ქსელები და უსაფრთხოება„ სათაური და შინაარსი მოვიდეს თანხვედრაში;
- სასწავლოკურსებში„ვებ სერვისების დაპროგრამების ტექნოლოგიები“და „საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების მენეჯმენტი“ ნათლად გაიწეროს პროექტის შეფასების კომპონენტები;
- დამსაქმებლების კითხვარებში აისახოს კითხვები კონკრეტული პროგრამის შესახებ, რადგან დამსაქმებლების კითხვარები არ იძლევა საჭირო სურათს კონკრეტული პროგრამის შესახებ და არის ზოგადი, რაც თავის მხრივ არასაკმარისია შემდგომი ანალიზის ჩასატარებლად.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დამსაქმებლების უმეტესობა საკმაოდ მჭიდროდაა დაკავშირებული პროგრამის ხელმძღვანელთან და მასთან ხშირი ურთიერთობა აქვს. სხდომის თავმჯდომარემ პროგრამის ხელმძღვანელს სთხოვა არგუმენტების წარმოდგენა გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთითა, რომ გაცემულ რეკომენდაციები უფრო მეტად რჩევის სახე ჰქონდათ. მაგისტრატურაში ირიცხებიან სტუდენტები დაშვების წინაპირობით, რომ მათ აუცილებლად უნდა იცოდნენ გარკვეული დაპროგრამების ენა. მას აქვს უნარი დამოუკიდებლად შეძლოს მანქანური სწავლების სილაბუსში განხილული თემები, ამიტომ არჩევითი საგანი დაედოს წინაპირობად სხვა რომელიმე არჩევით საგანს, მისი აზრით არალოგიკურია. რაც შეეხება თანაკვეთას, საგანი სადაც არის უსაფრთხოების საკითხები განხილული ქსელებთან მიმართებაში აქცენტირება კეთდება ქსელებთან მიმართებით, ხოლო საგანი სადაც არის საუბარი ზოგადად ინფორმაციის უსაფრთხოებასა და დაცვაზე, არის ზოგადი სახით განხილული საკითხები, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის უსაფრთხოებასთან. მისი თქმით, შესაძლოა ერთი და იმავე საკითხი განვიხილოთ ორ სხვადასხვა ასპექტში, სათაური შეიძლება იყოს ერთი და იგივე, მაგრამ განსხვავდება შინაარსი, მოცემული ორი საგნის ლიტერატურაც ერთმანეთისგან განსხვავდება. რაც შეეხება საგნის სათაურის და შიგთავსის შესაბამისობას, საგნის სილაბუსი აგებულია ძალიან ცნობილი სახელმძღვანელოს საფუძველზე. სათაური აღებულია იმ კურსის მიხედვით, რომლითაც

ძალიან ბევრ წამყვან უნივერსიტეტებში ხდება სწავლება. რაც შეეხება პროექტების შეფასებებს, მისი თქმით ალბათ ექპერტების ყურაღება კარგად არ იყო მიქცეული შეფასების კრიტერიუმებზე, გაწერილია პროექტის შეფასების ყველა კომპონენტი, თითოეული ქულობრივი ზღვარი, ფასდება პრეზენტაცია, უშუალოდ პროექტი, პრეზენტაციის ტექნიკური მხარე, შინაარსი, კომუნიკაცია. რაც შეეხება კითხვარების საკითხს რომ კონკრეტულად პროგრამაზე გაკეთდეს დამსაქმებლების გამოკითხვა, არარეალურია სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო, დამსაქმებელს ხშირ შემთხვევაში არ აინტერესებს ინფორმაციული ტექნოლოგიების მაგისტრია, კომპიუტერული ტექნოლოგიების თუ ინფორმაციული სისიტემების მაგისტრია პირი, ამიტომ როდესაც ხდება ხოლმე გამოკითხვა, დარგობრივად რაც საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებად მოიაზრება ახალი კლასიფიკატორის მიხედვით, იმ დარგობრივი საკითხების მიხედვით ხორციელდება გამოკითხვა და არა ძალიან დაკონ კრეტებული პროგრამების სათაურების მიხედვით. უნივერსიტეტს სარეკომენდაციო კითხვარი აქვს შემუშავებული, რომელიც მოიაზრებს დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობას. კომიტეტებში მუშაობის დროს მჭიდროა დამსაქმებლებთან თანამშრომლობა და უკუკავშირი, რაც შეეხება კითხვარებს, ამას სარეკომენდაციო ხასიათი აქვს. როგორც კი კლასტერული აკრედიტაციის, საგნობრივი ჯგუფების აკრედიტაციის თემა დადგება, ეს საკითხი ბევრად უფრო მარტივად მოგვარდება.

საბჭოს წევრი თამამ გადაწყვეტილებად თვლის, რომ სილაბუსებში სასწავლო თემები სალექციო და ლაბორატორიულები ცალ-ცალკეა გაყოფილი. აქ არის მიღებული რაციონალური გადაწყვეტილება, რომ როგორც სალექციო, ისე ლაბორატორიული ერთადაა. პროგრამის სილაბუსების შემუშავება ეტყობა, რომ ორგანიზებულად ხდება. ერთ სილაბუსში გაპარულია ტექნიკური ხარვეზი, მაგრამ გამოჩნდა მთელი ჯგუფის მუშაობის პროცესი. სილაბუსებში გამოყენებულია ლექცია-სემინარი, სწავლა-სწავლების მეთოდი. საბჭოს წევრი დაინტერესდა, სემინარები ამ დარგში რამდენად ამართლებს. რადგან აღნიშნულ დარგი, მაგალითად, ტექნიკურ უნივერსიტეტში უმეტესად პრაქტიკაა დანერგილი და არა სემინარები. ერთ-ერთ სილაბუსში მითითებულია შერეული ტესტირების ნაწილიც და საინტერესოა როგორ ხორციელდება, თეორიული საკითხებიც ტესტირების ფორმითაა თუ არა. საბჭოს წევრმა გააკეთა მოკლე შესავალი, რადგან იგი დარგის სპეციალისტი არ არის. საბჭოს წევრმა ექსპერტებს დაუსვა კითხვა, მისი თქმით, საბჭოს წევრებთან გაგზავნილ მასალებში ბაზრის კვლევის ამსახველი და დამადასტურებელი დოკუმენტებიდან მოცემულია მხოლოდ ორი ფაილი, სახელწოდებით ბაზრის კვლევა და ბაზრის კვლევის შედეგები. დოკუმენტში კითხვარის ნიმუშია მოცემული, ხოლო კვლევის შედეგებში მხოლოდ დიაგრამებია, ის დაინტერესდა ექსპერტებმა შეფასება ამ ორი დოკუმენტის საფუძველზე გააკეთეს, თუ საბჭოს წევრებთან არ გაგზავნილა დოკუმენტები სრულყოფილად. სხდომის თავმჯდომარემ სილაბუსებთან და საგნებთან დაკავშირებით დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა. იგი დაინტერესდა საგნით რეფერატი სპეციალობაში, რა დატვირთვა აქვს ამ საგანს და რამდენად მნიშვნელოვანია მისი ცალკე სწავლება. საბჭოს წევრმა დიანა მჭედლიშვილმა რჩევებთნ დაკავშირებით დასვა დამაზუსტებელი შეკითხვები, კერძოდ: ,,სასურველია ლიტერატურის მიმოხილვა უფრო დეტალურად აისახოს ნაშრომებში“ და მეორე ,,სასურველია სტატიები და მასალები სტუდენტებმა თავად მოიძიონ“. საბჭოს წევრი დაინტერესდა რატომ გაამახვილეს ექსპერტებმა ამ საკითხებზე ყურადღება, ხომ არ ყოფილა რაიმე ხარვეზი ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში სამაგისტრო ნაშრომებში და თუ რაიმე ხარვეზი იქნა ნაპოვნი, რატომ მოხდა ამის გაწერა რჩევაში და არა რეკომენდაციაში.

კითხვის დასმის სურვილი გამოთქვა საბჭოს წევრმა, ნიკა თინიკაშვილმაც. მისი თქმით, ის რომ პროგრამაში გათვაილსწინებულია საერთაშორისო დარგობრივი მარეგულირებელი ნაწილი მეტყველებს პროგრამის წარმატებაზე, კარგია რომ სტაბილურადაა მიღება ამ მიმართულებებზე, დღევანდელ დღეს წარმოუდგენელია ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სისტემების განვითარების გარეშე საუბარი. თუნდაც ის რეკომენდაციები რაც წარმოდგენილია გარკვეულ გადამოწმებას ექვემდებარება, მან ბოლო რეკომენდაციასთან დაკავშირებით იკითხა,

თუ თავის მხრივ დამსაქმებლებთან ჩატარებულია კვლევა და არსებობს კონკრეტული კვლევის ჩატარების ანალიზი, რამდენადაა ეს საკითხი თავისი შინაარსით რეკომენდაციის ხასიათის რომ ამაზე რომ მოხდეს მსჯელობა, ხომ არ იქნებოდა ეს უფრო რჩევის საფუძველი, რადგან გადამოწმების საშუალება ვერ იქნება, გამომდინარე იქედან რომ კვლევა უკვე პროგრამის შემუშავების დროს განხორციელდა. საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ გააჟღერა კიდევ ერთი შეკითხვა, მისი თქმით, ექსპერტებს აქვთ მოსაზრება სათაურისა და შინაარსის შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით, დაწესებულებას აქვს თავისი არგუმენტი, ამიტომ საბჭოს წევრმა ითხოვა, რომ ექსპერტს კიდევ ერთხელ გაეკეთებინა განმარტება.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ სწავლა-სწავლების ფორმასთან დაკავშირებით გამოცდილებიდან გამომდინარე ლაბორატორიული სემინარულით შეიცვალა, სემინარი არ ნიშნავს მხოლოდ თეორიულ მსჯელობას, ტარდება კომპიუტერულ კლასებში. ყველა ახალი ტექნოლოგიური გადაწყვეტილება, რაც არის დაკავშირებული საგნის საკითხთან/თემატიკასთან ადგილზევე ხდება გადაწყვეტა, ხდება მსჯელობა. ძირითადი სამაგისტრო შუალედური და დასკვნით გამოცდების ჩატარებისას ხდება მუდუსის გამოყენება. სტუდენტი თეორიულ საკითხებს წერს კომპიუტერში და არა ფურცელზე. ნაწილი შეიძლება იყოს ღია კითხვების სახით, ნაწილი თეორიული დახურული კითხვები. რაც შეეხება რეფერატი სპეციალობაში საგანს, ბევრ უნივერსიტეტშია პრაქტიკა მიღებული, რომ სამაგისტრო ნაშრომი ხორციელდება ერთი წლის და არა ორი წლისგანმავლობაში, რადგან უნივერფსიტეტი ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებას ითხოვს, შუძლებელია რომ ერთ სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა ჩაატაროს კვლევაც და მისი შესაბამისი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებაც გააკეთოს, ამიტომ საგანი რეფერატი სპეციალობაში წარმოადგენს, როგორც წინა მოსამზადებელ სამუშაო თემატიკის გასაცნობად, მასალის მოსაძებნად. შემდგომში დაგეგმილი სამუშაოს განხორციელება ხდება მეორე სემესტრში. მეორე კურსის სემოდგომის სემესტრიდანვე სტუდენტი ხელმძღვანელს ირჩევს და ასთან ერთად ეძებს მასალას თემატიკის შესაბამისად.
საუბარი განაგრძო ექსპერტმა. ლიტერასტურასთან დაკავშირებით მან მიუთითა, რომ ინსტიტუციას გააჩნია სამაგისტრო ნაშრომის დებულება, სილაბუსიც გაწერილია, სადაც მოთხოვნაა რომ მოხდეს ლიტერატურის ანალიზი. ნაშრომების გადახედვისას, ერთ-ერთ ნაშრომში ლიტერატურის ანალიზი არ იკვეთებოდა, ამიტომ ჩაიწერა რჩევა. სტუდენტებთან გასაუბრების დროს, რამდენიმე სტუდენტმა ახსენა რომ უმეტესად ხელმძღვანელები უგზავნიან მასალებს. დამსაქმებლებთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე მან განმარტა, რომ სხვა დოკუმენტაცია ექსპერტებთან გაგზავნილი არ ყოფილა. პროგრამის სემუშავებაში დამსაქმებლებიც უნდა იყვნენ ჩართულები და ეს დამსაქმებლები ჩართულები არიან პროგრამის ხელმძღვანელთან უშუალო ურიერთობით. როდესაც ექსპერტებს ჰქონდათ გასაუბრება, დამსაქმებლებმა აღნიშნეს რომ მათ პირადი კონტაქტები აქვთ პროგრამის ხელმძღვანელთან და უზიარებენ თავიანთ ხედვებს. იმისათვის რომ მოხდეს პროგრამის ანალიზი, ეს არ ჩანს, გან სხვავებით წინა პროგრამისა. საგნის სათაურისა და შინაარსის შესაბამისობას რაც შეეხება, სათაურია კომპიუტერული ქსელები და უსაფრთხოება, საგნის ძირითადი ლიტერატურაა ერთი, მისი სათაურია კრიტოგრაფია და უსაფრთხოება. სილაბუსში ხუთი თემატიკა მთლიანად კრიპტოგრაფიის მეთოდებს ეძღვნება და სემდეგ იწყება უსაფრთხოების ნაწილებზე საუბარი. ექსპერტებმა ითხოვეს კომპიუტერულ ქსელებზეც გაკეთებულიყო აქცენტი. სილაბუსის ავტორმა მიუთითა რომ უშუალოდ ამ სახელმძღვანელოს გამოყენება სურდა, ამიტომ დაკორექტირდა ექსპერტების მხრიდან რეკომენდაცია, რომ მხოლოდ სათაური შეცვლილიყო.დამატებით ლიტერატურაშიც უმეტესი წიგნები კრიპტოგრაფიას შეეხება. ექსპერტმა არნიშნულ კურსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ განიხილება ქსელები და კრიპტოგრაფია, დაახლოებით იგივე რაოდენობით. ამაზე პასუხი იყო რომ კრიპტიგრაფიული ალგორითმები რაც ისწავლება, ისწავლება ქსელებისთვის, მაგრამ სილაბუსში ეს არ ჩანს. საგანში ინფორმაციის უსაფრთხოება და დაცვა ზუსტად იგივე ისწავლება რაც ხსენებული საგნის სილაბუსშია მითითებული. მაგაილთად, სიმეტრიული კრიპტოგრაფია, ასიმეჰრიული კრიპტოგრაფია, ჰეშ ფუნქციები. ასევე, საგანში ინფორმაციის

უსაფრთხოება და დაცვა ისწავლება ბლოკჩეინი, ექსპერტისთვის გაუგებარია ამ საგანში რატომ ისწავლება ბლოკჩეინი. მანქანური სწავლების სილაბუსთან დაკავშირებით ექსპერტმა მიუთითა, რომ თემატიკაში ნახსენებია რთული ბიბლიოთეკები. პროგრამისტი რომ დასვა და უთხრა რომ ამ პროგრამებში იმუშაოს, ამას ვერ მოახერხებს სანამ საფუძვლებს არ ისწავლის. დაწესებულების წარმომადგენელმა გააკეთა მცირე განმარტება, საგნების სათაურები წიგნის სათაურების მიხედვითაა არჩეული, შინაარსები განსხვავებულია. სტუდენტი რომელიც აბარებს მაგისტრატურაზე, მან იცის დაპროგრამება და დამოუკიდებელი მუშაობა, თვითგანათლება უნდა შეეძლოს.
საკითხის განხილვის დროს დამაზუსტებელი კითხვა გაჩნდა საბჭოს წევრებს შორის, რომელიც შეეხებოდა სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსს და მასში გაწერილ შეფასების სისტემას. სხდომის თავმჯდომარემ ითხოვა სამაგისტრო ნაშრომის ერთჯერადი შეფასების სისტემის განმარტება. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ყველა ფაკულტეტს სამაგისტრო ნაშრომის წესი აქვს განსხვავებული. უნივერსიტეტში შვიდი ფაკულტეტი არსებობს და ყველა ფაკულტეტზე სამაგისტრო ნაშრომის სეფასების წესი არის განსხვავებული. ფაკულტეტის საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს. იგი არის ერთჯერადი ხასიათის და ფასდება სემესტრის ბოლოს, იმის შემდეგ რაც ნაშრომს დაასრულებს მაგისტრანტი. საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, ის სილაბუსი რაც არის წარმოდგენილი, გაწერილია ხელმძღვანელის შეფასება. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ეს ერთი მთლიანი შეფასების ნაწილია. საბჭოს წევრმა იკითხა თუ მნიმინალური ქულა ვერ დააგროვა რეცენზენტთან თუ დაიშვება ნაშრომი. დაწესებულების წარმომადგენლის გან მარტებით ეს წინაპირობაა და ნაშრომი არ დაიშვება. საბოს წევრის თქმით გამოყოფილია სამი ნაწილი, პირველია ხელმძღვანელის შეფასება მაქსიმუმ 30 ქულით, დაშვების მინიმალური ზღვარია 15 ქულა. ეს ნიშნავს, რომ თუ ხელმძღვანელმა 30 ქულა არ დაუწერა, რეცენზირებაზე არ გადადის თუ დაცვაზე, მაშინ პროცესი ერთჯერადი აღარ გამოდის. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მინიმალური ზღვარი კომპეტენციის ცალსახად არ ნიშნავს რომ ეს არის შუალედური ქულების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ეს არის ზღვარი რომლის არ დაწერის შემთხვევაში საერთო ეფასება ვერ შედგება. საბჭოს წევრის აზრით ამ შეფასების სისტემით, შეფასება ერთჯერადი არ გამოდის. დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთითა, რომ ეს არის ერთი მთლიანი შეფასების კომპონეტები. საბჭოს წევრმა იკითა, რეცენზენტი ხომ კითხულობს ნაშრომს სანამ გავა ერთჯერად დაცვაზე. თ მან უარყოფითი დასკვნა მისცა, მაშინ დაცვაზე ხომ ვეღარ გავა, მაშინ ეს არაერთჯერადი დაცვა გამოდის. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით ეს არის წინაპირობა იმისათვის რომ მოხდეს დაცვა, საერთო ას ქულაში არ მონაწილეობს. როგორც წესი არ არსებობდა ამგვარი განაწილება, ეს შესრულების ნაწილებია, დაწესებულება მიიჩნევს რომ ეს არის ერთჯერადი შეფასება, ხოლო მესამე ბრძანებაზე მუშაობა მისცემს დაწესებულებას საშუალებას შეფასებების დახვეწისა.
სხდომის თავმჯდომარე დაემშვიდობა ექსპერტებს, წარმატება უსურვა მათ, დროებით დაემშვიდობა ინსტიტუციის წარმომადგენლებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:35
დასრულების დრო: 21:25

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

,,ინფორმაციული სისტემების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

აკრედიტაციის საბჭომ საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ 2.2, 2.3 და 2.4 ქვეკომპონენტები შეფასდა როგორც ,,შესაბამისობაშია სტანდარტებთან“, ნაცვლად ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან“, ხოლო საბჭოს მიერ განსაზღვრული

რეკომენდაციის შედეგად 2.6 ქვეკომპონენტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან“ ნაცვლად ,,შესაბამისობაშია სტანდარტებთან, შედეგად მე-2 სტანდარტი ,,სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა“ შეფასდა როგორც ,,შესაბამისობაშია სტანდარტებთან, ნაცვლად ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან“.

საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია და რჩევები:

რეკომენდაცია:

- „სამაგისტრო ნაშრომის“ სილაბუსში მოყვანილ შეფასების სისტემაში ნათლად გამოიკვეთოს შეფასების ერჯერადობა.

რჩევები:

- ინფორმატიკის მისაღებ გამოცდაში დაემატოს საკითხები მონაცემთა ბაზების თემატიკიდან;
- პროგრამაში არჩევით საგნად დაემატოს „პრაქტიკა“;
- დაკონკრეტდეს არჩევით სასწავლო კურსებში მითითებული 10 კრედიტი;
- საგანი „დიდ მონაცემთა ნაკრებების დამუშავება“, რომელიც წარმოადგენს B კონცენტრაციის საგანს, გახდეს ყველასთვის სავალდებულო;
- პროგრამის სამომავლო მდგრადობიდან გამომდინარე სასურველია, თუ პროგრამაზე მომუშავე ჯგუფი სამომავლოდ განიხილავდა ორი კონცენტრაციის გაერთიანების საკითხს;
- პროგრამაში გაიზარდოს არჩევითი საგნების რაოდენობა;
- სასურველია გაიზარდოს ღრუბლოვანი სისტემების საკითხები;
- სასურველია პროგრამაში უსაფრთხოების საკითხებზე მეტი ყურადღება გამახვილდეს;
- სამაგისტრო დონეზე არ არის სასურველი სილაბუსებში ლიტერატურის გვერდების მითითება;
- განახლდეს „პროგრამული უზრუნველყოფის ეკონომიკა“, „ბაზარზე გამოყენებული ინფორმაციული სისტემები“ მითითებული ინგლისურენოვანი ლიტერატურა და ქართულენოვან ლიტერატურას ჩაემატოს გამოშვების წლები;
- საგანში „პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია II“ ძირითად და დამატებით ლიტერატურაში მიეთითოს სასწავლო მასალის ამსახველი ლინკები ან შესაბამისი ლიტერატურა;
- სამაგისტრო ნაშრომებში მეტი აქცენტი დაეთმოს ინფორმაციულ სისტემებთან დაკავშირებულ კვლევის საკითხებს;
- საგნებში „ინფორმაციული სისტემების ანალიზი“, „პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია I“, „ინტელექტუალური სისტემების მოდელები MATLAB-ში“, „ინფორმაციული სისტემების დიზაინი“ და სხვა ნათლად გაიწეროს პროექტის შეფასების კრიტერიუმები;
- ინფორმაცია ქულის გასაჩივრებისა და სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების შესახებ გახდეს მეტად გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი;
- უმჯობესი იქნება თუ სტუდენტებისთვის შემუშავდება გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის წამახალისებელი ღონისძიებები;
- სასურველია უნივერსიტეტმა განახორციელოს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართვისა და სამეცნერო ბაზებით სარგებლობისათვის საჭირო ქმედითი ღონისძიებები;
- სასურველია პროგრამაში უფრო მეტი ახალგაზრდა პრაქტიკოსი კადრის ჩართვა;
- სასურველია მოხდეს საბიბლიოთეკო სივრცის აღჭურვა კომპიუტერული ტექნიკით;

- სასურველია პროგრამას ჰქონდეს გარკვეული ტიპის საგარანტო დაფინანსება ინდუსტრიისაგან, მათთვის პროექტების განხორციელების მიზნით;
- სასურველია გარე შეფასების მექანიზმში ჩაერთოს ინდუსტრიის წარმომადგენელი;
- გაუმჯობესდეს კომუნიკაცია დამსაქმებლებთან, მოხდეს დამსაქმებლების უფრო ფართო სპექტრის ჩართვა;
- კითხვარები უფრო შემოკლდეს და შეიცავდეს კონკრეტულ მიზნობრივ კითხვებს, რაც თავის მხრივ დაზოგავს კითხვარის შევსების დროს დაგაზრდის უკუკავშირსაც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ინფორმაციული სისტემების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული 11 კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ინფორმაციული სისტემების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

,,ინფორმაციული ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

აკრედიტაციის საბჭომ საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ 2.2 და 2.3 ქვეკომპონენტები შეფასდა როგორც ,,შესაბამისობაშია სტანდარტებთან“, ნაცვლად ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან“, ხოლო საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შედეგად 2.6 ქვეკომპონენტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან“ ნაცვლად ,,შესაბამისობაშია სტანდარტებთან, შედეგად მე-2 სტანდარტი ,,სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა“ შეფასდა როგორც ,,შესაბამისობაშია სტანდარტებთან, ნაცვლად ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან“.

საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია და რჩევები:

რეკომენდაცია:

- „სამაგისტრო ნაშრომის“ სილაბუსში მოყვანილ შეფასების სისტემაში ნათლად გამოიკვეთოს შეფასების ერჯერადობა.

რჩევები:

- სასურველია დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობების ფორმალიზება პროგრამების შემუშავების პროცესში;
- Python-ის საკითხების დამატებას სპეციალობის გამოცდაში;
- საგანს „მანქანური სწავლება“ დაემატოს წინაპირობა „ქსელური დაპროგრამება Python ენის გამოყენებით“;
- გამოსწორდეს თემების თანაკვეთის პრობლემა საგანებში „კომპიუტერული ქსელები და უსაფრთხოება“ და „ინფორმაციის უსაფრთხოება და დაცვა“;
- სასწავლო კურსის „კომპიუტერული ქსელები და უსაფრთხოება„ სათაური და შინაარსი მოვიდეს თანხვედრაში;
- სასწავლო კურსებში „ვებ სერვისების დაპროგრამების ტექნოლოგიები“ და „საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების მენეჯმენტი“ ნათლად გაიწეროს პროექტის შეფასების კომპონენტები;
- დამსაქმებლების კითხვარებში აისახოს კითხვები კონკრეტული პროგრამის შესახებ, რადგან დამსაქმებლების კითხვარები არ იძლევა საჭირო სურათს კონკრეტული პროგრამის შესახებ და არის ზოგადი, რაც თავის მხრივ არასაკმარისია შემდგომი ანალიზის ჩასატარებლად;
- პროგრამა გაძლიერდეს შემდეგი თემატიკებით:ღრუბლოვანი ტექნოლოგიები, IOTდა ვირტუალიზაცია;
- სამაგისტრო დონეზე არ არის სასურველი სილაბუსებში ლიტერატურის გვერდების მითითება;
- სასურველია, საგნების იმ ნაწილში სადაც ხორციელდება ჯგუფური პროექტები შეფასების კრიტერიუმები უფრო დეტალურად გაიწეროს;
- სასურველია, ყველა სახის შეფასების გასაჩივრება იყოს ხელმისაწვდომი ელექტრონულად;
- სასურველია, ლიტერატურის მიმოხილვა უფრო დეტალურად აისახოს ნაშრომებში;
- სასურველია, სტატიები და მასალები სტუდენტებმა თავად მოიძიონ;
- სასურველია მოხდეს საბიბლიოთეკო სივრცის აღჭურვა კომპიუტერული ტექნიკით;
- გაუმჯობესდეს კომუნიკაცია დამსაქმებლებთან, მოხდეს დამსაქმებლების უფრო ფართო სპექტრის ჩართვა;
- • კითხვარები უფრო შემოკლდეს და შეიცავდეს კონკრეტულ მიზნობრივ კითხვებს, რაც თავის მხრივ დაზოგავს კითხვარის შევსების დროს და გაზრდის უკუკავშირსაც

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული 11 კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

6. მეექვსე საკითხი : სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ,,ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართულ ენაში მომზადება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	26.06.2020 გადაწყვეტილება № 525929
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	-
7	კვალიფიკაციის დასახელება	-
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N14
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტს სთხოვა წარმოედგინა დასკვნა.

ექსპერტი მიესალმა საბჭოს წევრებს და შეუდგა ანგარიშის განხილვას. მისი თქმით, საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით, რომელიც ექსპერტების მიერ წარდგენილ დასკვნას დაეყრდნო, ხუთი სტანდარტიდან ოთხ სტანდარტთან შესაბამისობა დაადგინა, ხოლო მეორე სტანდარტთან მიმართებით პროგრამის მეტწილად შესაბამისობა დადგინდა. აქედან გამომდინარე დაწესებულებას მოუხდა ემუშავა ექსპერტების მიერ წარდგენილ რეკომენდაციებზე. ექსპერტმა პირველი და მესამე რეკომენდაცია ერთად წარმოადგინა, რადგან მათი შეფასება ერთგვაროვანია. პირველი შეეხება სასწავლო კურსს „ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები“, რომელიც მიმართულია მოსმენის კომპეტენციის განვითარებისკენ და ამ კურსის ერთ-ერთი სწავლის შედეგია, რომ კურსდამთავრებულს შეუძლია განსხვავებული ენობრივ კულტურული თვითმყოფადობისა და ღირებულებების გაცნობა, დაფასება და პატივისცემა. კურსის ფარგლებში ექსპერტებმა ვერ ნახეს შესაბამისი თემატიკა, რომელიც ამ სწავლის შედეგის მიღწევას უზრუნველყოფდა. დაწესებულებამ წარმოადგინა ანგარიში და მასთან ერთად სასწავლო კურსის სილაბუსები. დაწესებულებამ რეკომენდაცია მეტწილად გაიზიარა, სასწავლო რესურსებში დაამატა სახელმძღვანელო, რომელიც გარკვეულწილად უზრუნველყოფს მისი შინაარსით სწავლის შედეგის მიღწევას. თუმცა სასწავლო რესურსებში მხოლოდ და მხოლოდ მითითებულია, რომ სახელმძღვანელო გამოიყენება. სილაბუსში არ არის მითითებული სახელმძღვანელოს რომელი თავი, თემატიკა, სავარჯიშოებია გამოყენებული. წარმოდგენილი სილაბუსებით ზუსტად ვერ დგინდება ამ სახელმძღვანელოდან რომელი ქვეთავებია გამოყენებული და რამდენად ადეკვატურია განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის. მესამე რეკომენდაცია უკავშირდებოდა სასწავლო კურსის მიზანსა და აღნიშნულ სახელმძღვანელოს. პროგრამის მიზანი გარდა ენობრივი უნარისა, უკავშირდება მოსმენის უნარსაც. აქედან გამომდინარე, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ დაემატებინა სასწავლო კურსი ან არსებულ სასწავლო კურსებში დაემატებინა თემატიკა, რომელიც მოსმენის კომპეტენციის განვითარებისკენ იქნებოდა მიმართული. იგივე ცვლილება განხორციელდა დაწესებულების მხრიდან, დაემატა სახელმძღვანელო აღმართი. ამ სახელმძღვანელოში არის შესული ისეთი თემატიკა, რომელიც ავითარებს მოსმენის კომპეტენციას, თუმცა სასწავლო სილაბუსში არაა მითითებული როგორ იყენებს სილაბუსის ავტორი ამ სახელმძღვანელოს. გარდა ამისა, დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა პროგრამის წინაპირობასთან დაკავშირებული რეკომენდაცია, რომელიც მომავალში გარკვეულ ბუნდოვანებას შექმნიდა. იგი უკავშირდებოდა ა და ბ ჯგუფში სტუდენტთა გადანაწილების ტესტირების განმარტება ხდებოდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობების ნაწილში.შეიძლება მოლოდინი გაჩენილიყო აბიტურიენტებში რომ მათ ასევე უწევთ ტესტიტების ჩაბარება პროგრამაზე მოსახვედრად, ეს რეკომენდაცია სრულად გაზიარებულია დაწესებულების მიერ. მნიშვნელოვანია რეკომენდაცია, რომელიც შეფასების სისტემას უკავშირდებოდა, რომელიც აღწერილია სასწავლო კურსის სილაბუსებში. შეფასება იყო ერთგვაროვანი ყველა კურსის ფარგლებში რაც პირდაპირ სტანდარტთან წინააღმდეგობაში მოდიოდა. შეფასება უნდა ითვალისწინებდეს კურსის შინაარსსა და სპეციფიკას, აქედან გამომდინარე გარკვეული ცვლილებები მოხდა ძირითადად შუალედური შეფასები კომპონენტებში, მაგრამ პრობლემად რჩება დასკვნითი შეფასების ნაწილი. ერთის მხრივ, მაგალითად, ისეთი სასწავლო კურსის შემთხვევაში, რომელის ზეპირი მეტყველების უნარს

უნდა ავითარებდეს. ასეთი კურსის შეფასებისთვის გამოყენებულია ტესტირება, რომელიც ცხადია ვერ გაზომავს სტუდენტების ზეპირი მეტყველების მიმართულ შედეგებს. პრობლემა რომ ყველა სასწავლო კურსში შეფასების სისტემა ერთგვაროვანია, ისევ რჩება.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გადასცა სიტყვა. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, როგორც ექსპერტმა აღნიშნა პირველი და მესამე რეკომენდაცია თითქმის იდენტურია დაეეხება პროგრამის მიზანს. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტების შეხედულებას რომ გაითვალისწინეს რეკომენდაციები, დაემატა ახალი სახელმძღვანელოები და თემატიკა. პროგრამა არ არის აქტიური, სტუდენტები არ ჰყავს უნივერსიტეტს, ამიტომ სილაბუსებზე მუშაობა მიმდინარე პერიოდშიც გრძელდება. როგორც კი გააქტიურდება პროგრამა, სწორედ ისე დაიხვეწება როგორც რეკომენდაციებშია წარმოდგენილი. სილაბუსები გამდიდრდა შესაბამისი თემატიკებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს კურსდამთავრებულებში ეროვნულ კულტურული ღირებულებების ცოდნის გაღრმავება და ინტეგრაციის ხელშეწყობა. მეორე რეკომენდაცია სრულად იქნა გათვალისწინებული. ა და ბ ჯგუფებად სტუდენტების გაყოფა ტესტირების შედეგად გულისხმობს, რომ როდესაც სტუდენტები ჩაირიცხებიან უნივერსიტეტში, ამის შემდეგ ჩატარდება ტესტირება სტუდენტების საკეთილდღეოდ, რომ მათი დონის შესაბამისად განისაზღვროს შედგომი საგნები. პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობიდან აღნიშნული ჩანაწერი ამოღებულია, რეკომენდაცია სრულად გათვალისწინებული. რაც შეეხება მეოთხე რეკომენდაციას, დაწესებულებამ სილაბუსებიდან თეორიული ცოდნის შეფასების კრიტეიუმები ამოიღო. უნივერსიტეტში არ არის კრიტერიუმები ერთგვაროვანი. რადგან პროგრამაზე სტუდენტები ჯერ არ არიან, გაზიარებული იქნა იმ უნივერსიტეტების გამოცდილება, რომლებსაც უკვე ჰყავთ ამ პროგრამაზე სრუდენტები. პროგრამის გააქტიურებისთანავე ხარვეზები გამოსწორდება, თითოეული დეტალი ისე ჩაიშლება, როგორც რეკომენდაციებშია წარმოდგენილი.

საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა პროგრამის სტუდენტებად ვინ მოიაზრებოდნენ, ქართული ენის არმცოდნე საქართველოს მოქალაქეები თუ საქართველოში დასახლებული ან დასახლების მსურველი საქართველოს არამოქალაქე წარმომადგენელები. მეორე კითხვა გაჟღერდა სახელმძღვანელოს დაკავშირები, საბჭოს წევრის თქმით, მითითებულ ვებ-გვერდზე სახელმძღვანელო არ იხსნება და შესაბამიასდ ვერ შემოწმდა ლექსიკონი არის თუ სახელმძღვანელო. ასევე მან გაზი გაუსვა ექსპერტის მოსაზრებას რომ მეოთხე რეკომენდაცია არ არის გაზიარებული, საბჭოს წევრმა ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს დაეთანხმა თუ არა იგი რეკომენდაციის გაუზიარებლობის საკითხს და ფიქრობენ თუ არა, რომ სამომავლოდ გაიზიარებენ რეკომენდაციას.

დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთითა, რომ რეკომენდაცია ნაწილობრივ გაზიარდა. ამოღებულ იქნა თეორიული ცოდნის შეფასების კრიტერიუმები, სამომავლოდ კი სრულად გაზიარებული იქნება. მისი თქმით, ქართულ ენაში მომზადების პროგრამა მუშაობს, უნივერსიტეტი აფხაზეთის დეფაქტო საზღვართანაა. მან აღნიშნა რომ მეოთხე რეკომენდაცია შეეხებოდა შეფასების სისტემის ერთგვაროვნებას, ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამა რომელიც მუშაობს უნივერსიტეტში, გამოირჩევა თავისი სპეციფიური შეფასების სისტემით, განსხვავებული მიდგომით დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, თუმცა რაც ეს პროგრამა არსებობს უნივერსიტეტში, მას არცერთხელ სტუდენტი არ ჰყოლია, ცოცხალი პროცესი პროგრამაზე არ განხორციელებულა, რაც საშუალებას მისცემდა უნივერსიტეტს, რომ კონკრეტულად ყოფილიყო გამოკვეთილი შეფასების გეგმა, ყოფილიყო კურსის შესაბამისი მიდგომა. მისი მოსაზრებით, რეკომენდაცია ნამდვილად სწორია, არ შეიძლება კურსებს ჰქონდეთ იდენტური შეფასების მეთოდები, უნდა იყოს განსხვავებული, მაგრამ კონკრეტიკის შეტანა ვერ მოხდა სტუდენტების არ ყოლის გამო. რაც შეეხება სახელმძღვანელო ,,აღმართის“ საკითხს, ლიტერატურა რეკომენდაციით გათვალისწინებული იქნა, თემატური ჩაშლა არ გაკეთებულა რაზეც იყო მინიშნება. სხდომის თავმჯდომარემ იკითხა რამდენი ხანია რაც პროგრამა არსებობდა, ასევე, თუ არსებობდა რაიმე მექანიზმი, შესაძლებლობა, რომ მომხდარიყო პროგრამის პოპულარიზაცია. გარდა ამისა, ის დაინტერესდა რომელ

პროგრამებთან ახდენდნენ შედარებას დაწესებულების წარმომადგენლები ხსენებული პროგრამის შემუშავების პროცესში.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა ქუთაისის, ახალციხის, სოხუმის უნივერსიტეტების ანალოგიური პროგრამები. უწყვეტი განათლების ცენტრში სურდათ პროგრამის ადაპტაციის გაკეთება, რომ მსურველები წარმოსულიყვნენ. სკოლის შემდგომი განათლების პროექტი, რომლის ინიცირება მოახდინა საქართველოს მთავრობამ მესამე წელია ხორციელდება უნივერსიტეტში, ამ პროგრამის ფარგლებში, სამთვიანი მომზადების კურსის დროს, საზღვარს იქით მცხოვრები პირები ჩაერთნენ ამ კურსში, სადაც ერთ-ერთი იყო ქართული ენის მომზადება. მათ ეროვნული გამოცდების პრონციპით შემდგომ ჩააბარეს ტესტირება და გამოცდების საფუძველზე მიირეს უფლება გაეგრძელებინათ სწავლა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამებზე. ამის შემდეგ, მეორე წელს პანდემიის პირობებში, როდესაც იგივე პროექტი განხორციელდა, მაგრამ მას სამთვიანი მომზადების სასწავლო კურსი არ უძღვოდა წინ. სასწავლო პროცესში ბაკალავრის პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებთან უნივერსიტეტი აწყდება ენის ბარიერს. რუსულენოვანი განათლების მიღების შემდეგ ისინი რთულად ერთვებიან სასწავლო პროცესში. ამიტომ ამ 60 კრედიტიან პროგრამას დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გაგებით, რომ ამ პროგრამის ფარგლებში სურთ დაწესებულების წარმომადგენლებს გაკეთდეს რამდენიმეთვიანი ენის მომზადების სასწავლო კურსი, რომელიც შეეთავაზება უკვე ჩარიცხულ სტუდენტს.
საბჭოს წევრმა იკითხა აღნიშნული კურსები ფასიანი იყო თუ უფასო. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა რომ კურსები უფასოა.
საბჭოს წევრის აზრით, ამ პროგრამის არსებობა სტრატეგიულად ძალიან მნიშვნელოვანია. მან გაიმეორა კითხვა: „აღმართი“ წიგნია თუ ლექსიკონი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ არის სახელმძღვანელო. არის ვებ-გერდი, სადაც ჩატვირთულია ყველა მასალა. საბჭოს წევრმა დაზუსტა, რომ სახემძღვანელოს აწერია ლექსიკონი აღმართი, ამიტომ დაინტერსდა იგი ლექსიკონია თუ არა. დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთითა, რომ გა ნთავსებულია ლინკები, სადაც ჩატვირთულია სახელმძღვანელოები ყველა დონისათვის. საბჭოს წევრმა მიუთითა, რომ ნათქვამის გათვალისწინებით სახელმძღვანელო რესურსი არის პორტალი, ხოლო მისი შემადგენელი ნაწილი „აღმართი“. განიმარტა, რომ „აღმართი“ წარმოადგენს ქართული ენის სახელმძღვანელოების სერიას. ეს არის კომპლექტი, წიგნიც, სამუშაო რვეულიც, ვიდეო და აუდიომასალაც. საბჭოს წევრმა მიუთითა, რომ ისინი ფაქტობრივი მდგომარეობით მსჯელობდნენ, ამიტომ სამომავლოდ რაიმეს გამოსწორების მათ სჯერათ მაგრამ ამას გადაწყვეტილებაში ვერ ასახავდნენ. მისი კიკთვით, რატომ არ მოხდა მთლიანად გაზიარება რეკომენდაციებისა და რატომ გადაიდო მომავილსთვის ამის განხორციელება. დაწესებულების წარმომადგენელმა გააკეთა განმარტება, შეფასების სისტემასთან დაკავშირებით ასეთი მიდგომა იყო, სილაბუსებში თუ არა აღწერაში უფრო მკვეთრად შეიძლებოდა გამოკვეთილიყო შეფასების სისტემები. უცხო ენის ცენტრში ნამდვილად აკეთებენ მოსმენის ტიპის სავარჯიშოებს, შემდეგ ბავშვები წერენ როგორ ეროვნულზე ხდება უსმენს და წერილობით დავალებას ასრულებს. თემასაც აკეთებს და ღია და დახურულ კითხვებსაც პასუხობს. დაახლოებით მსგავსი პასუხები, რომ ის ასახავდეს ტავის ფუნქციას, ერთგვაროვანი ფორმა რაც სეფასებას აქვს არ ნიშნავს რომ ის ტიპიურად ერთგვაროვანი პრინციპით მიდის. შფასების სისტემის სამომავლოდ გასწორების საკითთან დაკავშირებით მცირე განხილვა გაიმართა დაწესებულების წარმომადგენელსა და საბჭოს წევრს შორის. დაწესებულების წარმოამდგენლებმა მოიძიეს ინფორმაცია გაიზიარეს გამოცდილება იმისათვის რომ პროგრამა შედეგზე გავიდეს, ხოლო პროცესი იყოს მუდმივი გაუმჯობესების, ხარისხი იყოს მუდმივად კონტროლის სიმაღლეზე. პროგრამას არ აქვს იმის პრობლემა, რომ კურსდამთავრე ბული შედეგზე გაიყვანოს. საბჭოს წევრმა ესპერტს დამაზუსტებელი კითხვა დაუსვა, პროგრამებისთვის შემუშავებულია დარგობრივი მახასიათებლები, კონკრეტული პროგრამა რამდენად სეესაბამება დარგო ბრივ მახასიათებლებს, მათ შორის სეფასების ფორმატშიც. ეს არის იმ ტიპის დარგობრივი მახასიათებეი, სადაც კომპეტენციებს

შეფასებისთვის ძირითადი მეთოდები და სწავლების მეთოდებიც მეტნაკლებად გაწერილია, შეესაბამება თუ არა პროგრამა დარგობრივ მახასიათებლებს. ექსპერტმა უპასუხა, რეკომენდაციის ჩამოყალიბებისას იყო ძალიან ფრთხილი და უნდოდა ამ საკითხის დაზუსტება, მისი თქმით შეესაბამება, თუმცა შესაბამისობის ადდგენა წარმოადგენილი დოკუმენტაციითა და სისტემით მას გაუჭირდა. ერთის მხრივ, როდესაც მითითებულია ტესტირების ჩატარება, ექსპერტი ვერ ხედავს შესაბამის ინსტრუმენტს. ტესტირება შეიძლება ზომავდეს სტუდენტის კითხვის კომპეტენციას, ასევე მოსმენის კომპეტენციასაც, მაგრამ რადგანაც ვერ ხედავს ინსტრუმენტს, უჭირს დადგენა. რაც შეეხება სასწავლო კურსს, რომელიც საუბრის კომპეტენციას ავითარებს, იქ ცალსახად ტესტირება არავალიდურია, რაზეც მოხდა ხაზგასმა. საბჭოს წევრის თქმით, ექსპერტმა ძირითადად დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისად მოიაზრა პროგრამა ,მაგრამ რომელი ინსტრუმენტი უფრო ვალიდური იქნება ამას შედეგების შეფასების პროცესი რომ დადგება, სტუდენტების ჩარიცხვის მერე, მერე დაკონკრეტდება. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ამ მიმართულებით უნივერსიტეტში სხვა ენების ფარგლებში გამოცდილება ძალიან დიდია. სტუდენტებს ისეთი გამოცდილება აქვთ ისინი უკვე სინქრონულ თარგმანზე მუშაობენ. ქართულის ჯგუფს არ უმუშავია, თორემ ინსტრუმენტები უნივერსიტეტში მუშაობს. უნივერსიტეტი ერასმუსის პროგრამაშიც ჩართულია. საბჭოს წევრმა დამაზუსტებელი კითხვა დასვა, ბოლომდე რელევანტური შეფასების მეთოდები არ არის, მაგრამ აბსოლუტურად არარელევანტურიც არ არის. ექპსერტმა განმარტა, რომ წარმოდგენილი სილაბუსებით ვერ დადგინდება შეფასების სისტემა გაზომავს თუ არა სტუდენტთა მიღწევებს. სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს და დაწესებულების წარმომადგენლებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 23:45
გამომდინარე იქედან რომ საბჭოს სხდომა გაგრძელდა 00:00 სთ-ის შემდგომ, ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მიმართა შუამდგომლობით, წევრების თანხმობით, კენჭისყრის საფუძველზე სხდომა გაგრძელებულიყო 27 მარტსაც. სხდომაზე დამსწრე წევრების ერთულოვანი გადაწყვეტილების საფუძველზე გაგრძელდა სხდომა.

სათათბირო შესვენების დასრულების დრო: 00:03
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ,,ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტის დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ სასწავლო კურსების შეფასების კომპონენტებთან გაცემულ რეკომენდაციასთან მიმართებით, საბჭოს მიერ გაიცა რჩევა, რომლის შესრულების შესახებ ინფორმაცია დაწესებულებამ უნდა წარმოადგინოს პროგრამის 3 წლიან თვითშეფასების ანგარიშში.

რჩევა:

- შეფასების კომპონენტები სილაბუსებში გაიწეროს საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე.

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ,,ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა და ხურულად
გამოცხადდა 2021 წლის 27 მარტის 00:10 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
იმნაძე ნინო



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
სხდომის მდივანი
კაჭარავა მაკა